შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: ოჯახში ძალადობა და ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: სოფიკო კაპანაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ნინო ბოჭორიშვილი

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია 2

Annotation 3

შესავალი 4

თავი I. ლიტერატური მიმოხილვა 7

1.1. ეროვნული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა 7

თავი II. ოჯახში ძალადობის თეორიები, ნიშნები და ფაქტორები 9

2.1. ძალადობა ოჯახში - დეფინიცია 9

2.2. ოჯახში ძალადობის თეორიები 10

2.3. ოჯახში ძალადობის მახასიათებელი ნიშნები და ფაქტორები 12

თავი III. ოჯახში ძალადობის შესახებ ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და სასამართლო პრაქტიკა 16

3.1. ოჯახში ძალადობა საქართველოს სამართლებრივ სისტემასა და პრაქტიკაში 16

3.2. არასრულწლოვანთა მიმართ ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულირება 30

3.3. საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები და მექანიზმები ოჯახში ძალადობის შესახებ 32

3.4. ოჯახში ძალადობის პრევენცია 42

თავი IV. კვლევის შედეგები 44

დასკვნა 47

გამოყენებული ლიტერატურა 49

ანოტაცია

ოჯახური დანაშაული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და სპეციფიკური სოციალურ-სამართლებრივი პრობლემაა. მის აქტუალურობას ის გარემოება განსაზღვრავს, რომ ძალადობა თანამედროვე საზოგადოების გამოწვევად იქცა, ამიტომ აღნიშნული პრობლემის შესწავლა და განზოგადება საჭიროა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

სამაგისტრო ნაშრომი ,,ოჯახში ძალადობა'' წარმოდგენილია 59 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდის სახით, რომელიც მოიცავს შესავალს, სამ თავს, რომლებიც დაყოფილია ქვეთავებად, ასევე დასკვნას, გამოყენებულ ლიტერატურას და დანართს.

ნაშრომის შესავალში მოცემულია თემის აქტუალობა, განსაზღვრულია კვლევის მიზანი, ამოცანები და მეთოდები. წარმოდგენილი ნაშრომის პირველი თავი ეხება ლიტერატურის მიმოხილვას, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ოჯახში ძალადობის დეფინიცია, ოჯახში ძალადობის თეორიები, მახასიათებელი ნიშნები და ფაქტორები, ძალადობის ფორმები. მეორე თავი ეხება აღნიშნული პრობლემის კვლევა/ ანალიზს, განხილულია ოჯახში ძალადობის მდგომარეობა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, მოცემულია სხვადასხვა პრაქტიკული მაგალითები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად განხილულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ოჯახში ძალადობის შესახებ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. ასევე საუბარია ოჯახში ძალადობის პრევენციასა და მის სამართლებრივ რეგულირებაზე. მესამე თავი კი მოიცავს, განხილული საკითხების შეჯამებისა და გაანალიზების შედეგად მიღებულ კვლევის შედეგებს და დასკვას.

Annotation

Domestic crime is one of the most common and specific socio-problematic problems. Its relevance is determined by the fact that violence has become a challenge to modern society, therefore, the study and generalization of this problem is necessary at the both national and international levels. The master's thesis "Domestic Violence" is presented in the form of 59 computer printed pages, which includes an introduction, three chapters, Which are divided into subsections, as well as the conclusion, the literature used, and the appendix.

The introduction of the thesis gives the relevance of the topic and the purpose, objectives and methods of the research are defined. The first chapter is the review of literature, which thoroughly describes the definition of domestic violence, the characteristic signs and factors, the forms of violence. The second chapter deals with the research / analysis of this problem, the situation of domestic violence in the legal system of Georgia is discussed, various practical examples are given, which clearly show the situation in the country. Besides, international legislation on domestic violence is also discussed in conjunction with national legislation and the decisions of the European Court of Human Rights. It also discusses the prevention of domestic violence and its legal regulation. The last third chapter includes, the findings, the results of the research and the conclusions.

შესავალი

თემის აქტუალურობა. ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე რთული, გავრცელებული და სპეციფიკური სოციალურ-სამართლებრივი პრობლემაა. აღნიშნული დანაშაული თავისი ხასიათიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო პერიოდში. დანაშაული ლატენტური ხასიათისაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაულის უშუალოდ ჩადენის ფაქტს შემსწრე პირები არ ჰყავს, შესაბამისად მისი სააშკარაოზე გამოტანა მხოლოდ მსხვერპლის ნებაზეა დამოკიდებული. ძალადობის ეს ფორმა საზოგადოებისგან ფარულად მიმდინარეობს, შესაბამისად რთულია დანაშაულის რეალური დონის განსაზღვრა. საზოგადოება ინფორმაციას იღებს მხოლოდ ყველაზე სასტიკი და მძიმე შემთხვევების შესახებ, როდესაც მსხვერპლი მოკლულია ან პრაქტიკულად სასიკვდილოდ არის ნაცემი. შედარებით უფრო მსუბუქი შემთხვევები, როგორიცაა - ცემა, ხელების გადაგრეხა და ა.შ საზოგადოების განხილვის საგანი არ ხდება და მოძალადეები დაუსჯელები რჩებიან.

დიდი ხნის განმავლობაში ოჯახში ძალადობა მიიჩნეოდა ოჯახის ან პირის პრობლემად და სახელმწიფოები არ იღებდნენ ვალდებულებას ამ პრობლების აღიარებისათვის. ოჯახში ძალადობა ოჯახის შიდა ,,სამზარეულოდ'' იყო მიჩნეული, რომლის სააშკარაოზე გამოტანა არ შეიძლებოდა და არავის ჰქონდა მასში ჩარევის უფლება. ამ ყველაფერს კი ხელს უწყობდა ასევე თავად მსხვერპლის დამოკიდებულება. მათ არ სურთ აღნიშნული დანაშაულის სააშკარაოზე გამოტანა, საზოგადოებაში საუბარი შიშის, მოძალადის მხრიდან აგრესიის ან სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობის გამო. ბევრ კულტურაში საზოგადოება თვლიდა, რომ ეს ოჯახური პრობლემა იყო, რაც არ უნდა ყოფილიყო სააშკარაოზე გამოტანილი.

ოჯახში ძალადობა ყველა კონტინენტსა და ქვეყანაშია გავრცელებული. ეს დანაშაული ყველანაირ საზოგადოებაში გვხვდება და მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე აქტიურად დაიწყეს სახელმწიფოებმა მის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ბრძოლა არამხოლოდ ქვეყნების შიდა საქმედ მიიჩნეოდა არამედ მალე მასში ჩაერთო საერთაშორისო საზოგადოებაც, რამაც ნათელი გახადა პრობლემის აქტუალურობა.

ოჯახში ძალადობა თავისი შინაარსით არღვევს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის საყოველთაო უფლებებსა და თავისუფლებებს, საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და

ჯანმრთელობას. შესაბამისად, იგი სცდება ერთი რომელიმე ოჯახის პრობლემად განხილვის ფარგლებს და წარმოგვიდგება მაღალი საშიშროების მატარებელ დანაშაულად. „ამასთან, ოჯახში ძალადობა არ არის ოჯახის ცალკეული წევრების პრობლემა. ასეთი კონფლიქტები ნეგატიურად მოქმედებს ოჯახის სხვა წევრებზეც, განსაკუთრებით არასრულწლოვნებზე, იწვევს მათი ფსიქიკისა და აზროვნების დამახინჯებას. მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემა თანაბრად დგას ყოველ საზოგადოებასა და კულტურაში.

ოჯახში ძალადობა თანამედროვე საზოგადოების გამოწვევად იქცა. ბოლო დროს განვითარებულმა ოჯახური ძალადობის ფაქტების აშკარა მატებამ დაგვანახა პრობლემის სიმწვავე და სახელმწიფოს საჭირო რეაგირება მის მოსაგვარებლად.

შესაბამისად საქართველოს სსკ-ის 11[1] და 126 [1] მუხლების შემოღება სახელმწიფოს მიერ წიგადადგმული ნაბიჯი იყო საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების დაცვის და უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სახელმწიფომ ოჯახური დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელის თავისუფლების აღკვეთის ზომაც კი გაზარდა დანაშაულის პრევენციის მიზნით. ქვეყანამ, ამ საკითხის სისხლისამართლებრივი რეგულირების კუთხით შექმნა რეალური მექანიზმი ოჯახის ყველა წევრის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების დაცვის თვალსაზრისით.

თუმცა დანაშაულის ფარული ხასიათიდან გამომდინარე მისი პრევენცია წარმოადგენს რთულ საკითხს. პრობლემის სიმწვავე და ხარისხი განპირობებულია საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობით, დამახინჯებული ტრადიციებით, დაბალი სოციალურ-კულტურული განვითარების დონით. შესაბამისად, საჭიროა მისი სიღრმისეული შესწავლა და განზოგადება, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე.

კვლევის მიზანი: თემის მიზანია, მოცემული საკითხების დეტალური გაცნობა და მისი სიღრმისეული განხილვა, ეროვნული და საერთაშორისო კანონდებლობის შედარების შედეგად, ასევე პრაქტიკული მაგალითების გაცნობით პრობლემის ნათლად წარმოჩენა, რაც შემდგომ დაინტერესებულ პირებს დაეხმარება ოჯახში ძალადობის თემის უკეთ აღქმაში და მისი გაანალიზების, შეჯამების შემდგომ უფრო ნათელი იქნება თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აღიკვეთოს ოჯახში ძალადობა და მოხდეს ამ დანაშაულის პრევენცია. ასევე ნაშრომში მოცემული საკითხების ანალიზის შედეგად, ჩამოყალიბდეს გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება ქვეყანაში არსებული ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესება.

კვლევის ამოცანა: თემის ამოცაანაა, ქვეყანაში არსებული პრაქტიკული მაგალითების გაანალიზების შედეგად ნათლად იმის წარმოჩენა თუ რაში მდგომარეობს ოჯახში ძალადობის

პრობლემა, რა არის მისი გამომწვევი მიზეზები, თუ რამ გამოიწვია სტატისტიკური მაჩვენებლის საგრძნობლად დიდი მაჩვენებელი. შესაბამისად დეტალურად და სიღრმისეულად ამ საკითხების გაცნობის და განხილვის შემდგომ შემაჯამებელი დასკვნის გამოტანა.

კვლევის მეთოდები: თემაზე მუშაობისას, კვლევა განვახორციელე ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა ლიტერატურული მასალების გამოყენებით. ნაშრომის შესრულებაში დამეხმარა ინტერნეტში არსებული წყაროები, ვებ-გვერდებზე მოცემული სტატისტიკური მონაცემები. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით დაიწერა მეორე თავი, რათა უკეთ დაგვენახა ოჯახში ძალადობის პრობლემის არსი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად. ნაშრომში გამოყენებულია ქვეყანაში არსებული სტატისტიკული მონაცემები წლების მიხედვით. ოჯახში ძალადობის გამომწვევი ძირითადი მიზეზების, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლის პოზიციის გასაგებად ვესწრებოდი სასამართლო სხდომებს. ასევე მოძიებულ იქნა არაერთი სასამართლოს გადაწყვეტილება ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. თემაზე მუშაობისას გამოყენებულია არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევის შედეგებიც, რომლებიც ასევე სასამართლო სხდომებზე დასწრების შედეგად არის გაკეთებული. (გამოყენებული ლიტერატურული მასალები, ინტერნეტ-წყაროები, ვებ-გვერდები, სტატისტიკური მონაცემები, სასამართლოს გადაწყვეტილებები მითითებულია გამოყენებულ ლიტერატურასა და დანართში.)

თავი I. ლიტერატური მიმოხილვა

1.1. ეროვნული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობის და კვლევის პროცესში დამუშავებული იქნა არაერთი მონოგრაფია და სახელმძღვანელო, როგორც ოჯახში ძალადობის ზოგადი არსისა და მნიშვნელობის გამოკვეთის მიზნით ისე არასრულწლოვანთა მიმართ ოჯახშიძალადობის პრობლემის დანახვის, გააზრების და გადაჭრის გზების შეთავაზების გამო. კერძოდ დამუშავდა შემდეგი მონოგრაფიები - გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული. მაია ივანიძე-ოჯახში ჩადენილი დანაშაული კ.ბოჭორიშვილი,მ.მესხი, ქ.ხუციშვილი, მ,ფერაძე- სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე თბილისი; კოხოძე, მაისურაძე, მეშველიანი, ჯაჯანიძე, ჯომარჯიძე ,,ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმწიფო სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები''; ავტორთა კოლექტივი, გ.ტყეშელაშვილი, მ.ლეკვეიშვილი, გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, ქ.მჭედლიშვილი-ფედრიხი, მ.მამულაშვილი. მ.ივანიძე, ი.ხერხეულიძე-სისხლის სამართლის ზოგადი; ჰელვე კაზე, ესტონეთის ღია საზოგადოების ინსტიტუტის პროექტი ,,საქართველოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დასახმარებლად''. ავტორთა კოლექტივი-სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (ირინე ხერხეულიძე-ოჯახური ძალადობის პრობლემის საერთაშორისო ხასიათი და ინსტრუმენტები) საბედაშვილი გენდერი და დემოკრატია საქართველოს მაგალითზე 1991-2006 წლებში. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია-ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები (თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის და თელავის სასამართლოების მონიტორინგის ანგარიში) N10; ნათია როყვა, ოჯახში ძალადობა - ანასტასიას ამბავი, კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (CEDAW) თანასწორობა, კანონმდებლობა, რეალობა; ჰილარი ფიშერი, შიშისგან დაცული ძალადობისგან დაცული, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის. ლელა მეტრეველი, მართლმსაჯულება და კანონი #3(51)'16 საერთაშორისო დოკუმენტების მიმოხილვა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია (სამუშაო ვერსია); ელა კუსიანი, ძალადობა ოჯახში და მისი გადაჭრის გზები; გაეროს

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი; ზოგადი რეკომენდაცია; კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა. სტატიათა კრებული. იოსებ გაბარაევი, კონვენცია ,, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ" - მისი გავლენა ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე, ძალადობით ჩადენილ სექსუალური ხასიათის დანაშაულების კონტექსტში. რუსუდან კოხოძე, მარიამ მაისურაძე, ეკატერინე მეშველიანი, მარიამ ჯაჯანიძე, ნინო კომარჯიძე- ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმფიწო სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები; საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი- მართლმსაჯულება და კანონი #3(59)'18. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში-საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის სპეციალური ანგარიში. მარინა მესხი- ,,ოჯახში ძალადობა-პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი; მაია მიშველაძე-სახელმწიფოს როლი ოჯახში ძალადობის აღკვეთასა და პრევენციასთან მიმართებით; მარინა მესხი-ოჯახში ძალადობა-პრობლების მორალური და სამართლებრივი ასპექტები; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნუგზარ გაბრიჩიძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულება N1, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი, 2009.

ასევე კვლევის პროცესში დამუშავდა ეროვნული და ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული არაერთი გადაწყვეტილება, მათ შორის - ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 14 აპრილის განაჩენი N 1/195-20; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება (Opuz v.Turkey, No.33401/02, 9.06.09); Branko Tomasic and Others v.Croatia განაცხადი N46598/06;15.01.2009

რაც შეეხება სამართლებრივ აქტებს, ყურადღება გავამახვილე შემდეგ ნორმატიულ მასალაზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ"; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია); საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; კონვენცია ,,ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" (CEDAW) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

თავი II. ოჯახში ძალადობის თეორიები, ნიშნები და ფაქტორები

2.1. ძალადობა ოჯახში - დეფინიცია

ძალადობა ოჯახში ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განმეორებად, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ემოციურ ზეწოლას.

საქართველოში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი აქტები განსაზღვრავენ ოჯახში ძალადობის დეფინიციას, კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის თანახმად ,,ოჯახში ძალადობა ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი". საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლის შენიშვნის თანახმად ოჯახის წევრად ითვლება: ,,დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას". [1]

ასევე საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" ოჯახში ძალადობას განმარტავს, როგორც ,,ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უფულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით".[2]

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) თანახმად ,,ოჯახში ძალადობა გულისხმობს

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

[2] საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ"

ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავას იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთამ ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა''.[3]

ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერადი ქმედება - ეს არის პროცესი, რომელიც არის განმეორებადი და მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობას ეხება. ოჯახში ძალადობა არის დროში გახანგრძლივებული და აქვს ზრდის ტენდენცია. ძალადობის სუბიექტები, როგორც წესი, ერთმანეთზე არიან დამოკიდებულები, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ოჯახი მალავს ამ ფაქტს. ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, ხშირ შემთხვევაში, ქალები და ბავშვები არიან, ხოლო მოძალადეები მამაკაცები. თუმცა ოჯახური ძალადობის ობიექტი შეიძლება იყოს ოჯახის ნებისმიერი წევრი, მათ შორის ხანდაზმული მშობლები და მამაკაცებიც. ოჯახში ძალადობის მხოლოდ 10 პროცენტი ხდება ცნობილი სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რადგან ნათესავები ხშირად მალავენ ფაქტს, რაც მოძალადეს ახალი ძალადობისკენ უბიძგებს. მსხვერპლი ვერ ბედავს სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვას ან უბრალოდ არ იცის თუ როგორ დაიცვას თავი მოძალადისგან.[4]

2.2. ოჯახში ძალადობის თეორიები

საინტერესო იქნება მოკლედ ძალადობის თეორიების ევოლუციის მიმოხილვა, რაც უფრო ნათლად დაგვანახებს დროთა განმავლობაში ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებსა და განვითარების პროცესს.

საერთაშორისო პრაქტიკა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით იცნობს მრავალ თეორიას. ამგვარი თეორიების არსებობა საზოგადოებას ეხმარება საერთო მიდგომის შემუშავებისკენ, რაც შემდგომ უზრუნველყოფს ძალადობის მიმართ ეფექტური საპასუხო ზომების ჩამოყალიბებაში.

აღსანიშნავია 1970-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული **ნაცემ ქალთა მოძრაობა**. ჩამოყალიბებული თეორიის თანახმად მამაკაცების მიერ გამოხატული ძალადობა ეფუძნებოდა ფსიქოპათოლოგიას. მამაკაცები, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებდნენ ცოლებს დაავადებულნი იყვნენ ფსიქიკურად და მათი განკურნება შეიძლებოდა წამლების ან

[3] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)

[4] მაია მიშველაძე-სახელმწიფოს როლი ოჯახში ძალადობის აღკვეთასა და პრევენციასთან მიმართებით (საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1,2011)

ფსიქიატრიული მკურნალობის საშუალებით. მაგრამ ეს მიდგომა არ იყო გამართლებული რადგან ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები ძალადობას ნებისმიერი ადამიანის მიმართ ავლენენ. ასევე აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ ნაცემი ქალები, რომლებიც მკვლევარების მიერ იქნენ შემოწმებულნი ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იყვნენ მოთავსებულნი.[5]

შემდგომ ჩამოყალიბებულ იქნა თეორია, რომელიც **,,შესწავლილი ქცევის"** ძალადობის სახელით არის ცნობილი, რომლის თანახმად მამაკაცები იმიტომ სცემდნენ ქალებს, რომ ისინი ბავშვობიდან იყვნენ ძალადობის ფაქტის შემსწრეები ოჯახში რასაც შემდგომ ავლენდნენ ცოლების მიმართ. ქალებიც ეძებდნენ მოძალადე მამაკაცებს რადგან მათ ნანახი ჰქონდათ, თუ როგორ სცემდა მამა დედას.

,,შეცნობილი ქცევის" თეორია უკავშირდება კონტროლის დაკარგვას. მოძალადეები ძალადობას ახორციელებენ სიმთვრალის მდგომარეობაში რადგან ალკოჰოლი მათ კონტროლს აკარგვინებს.

,,კონტროლის დაკარგვის" თეორია წინააღმდეგობაში მოდის მოძალადის საქციელთან. მოძალადე თავის ძალადობას სიფრთხილით წარმართავს განსაზღვრული ადამიანების მიმართ განსაზღვრულ დროსა და ადგილზე. მაგალითად, მოძალადეებს ურთევნიათ არ გაარტყან თავიანთ უფროსებს ან პოლიციის მუშაკებს, მიუხედავად იმისა, რამდენად გაბრაზებულნი არიან, ან რამდენად აკონტროლებენ საკუთარ თავს. მოძალადეები თავისი წესების და კანონების მიხედვით მოქმედებენ. ისინი პარტნიორებს სცემენ მაშინ როცა მარტონი არიან ან ყველაფერს აკეთებენ იმისათვის რომ ფიზიკური შეურაცხყოფის ნიშნები შესამჩნევი არ დატოვონ. მოძალადეები არჩევანს აკეთებენ თუ რას უზამენ მსხვერპლს და რას არა მაშინაც კი როცა ამტკიცებენ რომ სრულ გონებაზე არ არიან ან საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგეს. გადაწყვეტილების ეს უნარი უჩვენებს, რომ ისინი სინამდვილეში აკონტროლებენ თავიანთ ძალადობრივ საქციელს.

,,შეცნობილი უმწეობის" თეორიის თანახმად ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლეონორ ვოლკერმა შეისწავლა იმ ქალთა ყოფაქცევა, რომლებიც მოძალადე ქმრებთან თანაცხოვრების გაგრძელებას არჩევენ. მისი ჰიპოპთეზის თანახმად, ქალების გადაწყვეტილება გააგრძელონ ცხოვრება მოძალადე ქმრებთან იმით გამოიხატება, რომ მუდმივი შეურაცხყოფა მათ გაყრისათვის საჭირო ნებისყოფას ართმევს. შეცნობილი უმწეობის თეორიას თან ახლდა ფსიქოპათოლოგიის აღმოცენება. თეორიტიკოსები ამტკიცებდნენ,, რომ ქალები რომლებიც ძალადობრივ ურთიერთობაში

[5] მარინა მესხი-ოჯახში ძალადობა-პრობლების მორალური და სამართლებრივი ასპექტები (საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1, 2011)

რჩებოდნენ დაავადედბულნი იყვნენ ხასიათის ანომალიით, რაც მათ უბიძგებდა შეურაცხმყოფელი ურთიერთობა თვითგვემის საშუალებად შეერაცხათ.[6]

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილია ასევე **,,ძალადობის ციკლის''** თეორია. ამ თეორიას ხშირად აიგივებდნენ ,,ოჯახური ურთიერთობის კონფლიქტის'' მოდელთან, რომლის თანახმად ორივეს - ქალსაც და კაცსაც ბრალი მიუძღვის ცოლ-ქმრულ კონფლიქტში. [7] მამაკაცები არ გამოხატავდნენ თავიანთ რისხვასა და იმედგაცრუებას, რადგან მათ ასწავლიდნენ არ გამოევლინათ გრძნობები. მამაკაცის დაძაბულობა იზრდებოდა მანამ, სანამ ის აფეთქდებოდა და მოძალადე გახდებოდა. დაძაბულობა განიტვირთებოდა და წყვილი ტკბებოდა ,,თაფლობის თვის'' პერიოდით რომლის განმავლობაშიც ქმარი სინანულით აღსავსე იყო. სხვათა აზრით დაძალულობა კი არ გროვდებოდა პირიქით იყო ცემის არაპროგნოზირებადი, თითქმის შემთხვევითი ეპიზოდები. ახსნილია, რომ ძალადობის ციკლის კონცეფცია სტატიკურია და არა დინამიკური, ხოლო ,, თაფლობის თვის'' ცნება არ შეესაბამება იმ ქალების გამოცდილებას, რომლებიც აღნიშნავენ, რომ თვით შერიგების ანუ ურთიერთობის აღდგენის, პროცესი ხორციელდება ძალადობის გარეშე. ამ მოდელის თანახმად ან ურთიერთობა ხასიათდება ორმხრივი ძალადობით ან ხშირ შემთხვევაში ცოლი იწვევს ქმარს ზღვარგადასული კამათით, რაც საფუძვლად ედება ქმრის ძალადობრივ რეაქციას. ქალის საქციელი იწვევს მამაკაცში დაძაბულობის ზრდას მანა, სანამ მამაკაცი ,,აფეთქდება'' და გამოავლენს მრისხანეას. ამას კი მოჰყვება ,,თაფლობის თვის'' პერიოდი.[8]

აღნიშნული თეორიების გაანალიზების შემდგომ შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ძალადობას გააჩნია თავისი მახასიათებელი ნიშნები, მისი გამოვლენა ხდება სხვადასხვა ფორმით, შესაბამისად საინტერესო იქნება მათი მოკლე მიმოხილვაც.

2.3. ოჯახში ძალადობის მახასიათებელი ნიშნები და ფაქტორები

[6] მარინა მესხი - ოჯახში ძალადობა-პრობლების მორალური და სამართლებრივი ასპექტები, (საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1, 2011)

[7] გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული. მაია ივანიძე-ოჯახში ჩადენილი დანაშაული

[8] მარინა მესხი-ოჯახში ძალადობა-პრობლების მორალური და სამართლებრივი ასპექტები. კ.ბოჭორიშვილი,მ.მესხი, ქ.ხუციშვილი, მ,ფერაძე- სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე თბილისი, 2010

ოჯახში ძალადობა მოიცავს ქმედებების ფართო სპექტრს ერთჯერადი ძალადობრივი აქტიდან დაწყებული, ძალადობის მასობრივი ფორმებით დამთავრებული. შესაბამისად მას გააჩნია საკუთარი მახასიათებლები და თავისებურებები- ანუ ის კრიტერიუმები რომლითაც ხდება მისი იდენტიფიცირება.[9]

ოჯახში ძალადობის 4 ძირითადი მახასიათებელია:

1. ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერადი ქმედება - ის შემდგება განმეორებადი ციკლებისაგან და დამყარებულია მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთობაზე.

2. დროში გაძანგრძლივებულია და აქვს ზრდის ტენდენცია.

3. ძალადობის სუბიექტები, როგორც წესი, ერთმანეთზე არიან დამოკიდებულები, ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, ოჯახი მალავს ამ ფაქტს.

4. საზოგადოებისა და სამართალდამცავების რეაქცია ძალადობის ფაქტზე ხშირად არაადეკვატურია.

ოჯახში ძალადობას განაპირობებს ასევე კულტურული, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ფაქტორებიც.

კულტურულ ფაქტორებს განეკუთვნება მიდგომა, რომელიც განსაზღვრავს სქესთა როლებს, რომ მამაკაცი უნდა ბატონობდეს ქალზე და ურთიერთობაში როლები წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

ეკონომიკური ფაქტორებიც მნიშვნელოვა როლს თამაშობს ოჯახში ძალადობისას. ქალის ფინანსური დამოკიდებულება მამაკაცზე, რაც ხშირად მსხვეპრლის უსუსურობას იწვევს და მის დუმილს დანაშაულის აღიარებასთან დაკავშირებით. მას აქვს დასაქმების და განათლების მიღების ნაკლები პერსპექტივა. ეს ყველაფერი კი იწვევს მსხვერპლის მიჯაჭვულობას მოძალადეზე.

სამართლებრივ ფაქტორში იგულისხმება დაწერილი და ადათობრივი სამართლით აღიარებული ქალის სტატუსი, დაბალი სამართლებრივვი ცნობიერების დონე.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებული **პოლიტიკური მიდგომა** ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი არასერიოზული მიდგომა, მოსაზრება რომ ოჯახი სახელმწიფოს კონტროლს გარეთ არსებული ,,კერძო'' სფეროა.[10]

---

[9] კ.ბოჭორიშვილი,მ.მესხი, ქ.ხუციშვილი, მ.ფერაძე, ნ.სააკაშვილი, ა.აბაშიძე, ნ.შავლაყაძე.ნ.ზაზაშვილი- სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010

[10]მარინა მესხი, ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1, 2011

საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' განმარტავს მოძალადისა და მსხვერპლის სტატუსს.

მოძალადე - არის ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით. მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე ოჯახის წევრი ან ნებისმიერი პირი , რომელიც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას.[11]

მსხვერპლი არის ოჯახის წევრი რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება.

აღსანიშნავია მოძალადის მიერ ძალადობის გამოვლენის 5 სახის ფორმა:

ფიზიკური ძალადობა: ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.

ფსიქოლოგიური ძალადობა: შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს.

ეკონომიკური ძალადობა: ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებით შეზღუდვას.

სექსუალური ძალადობა: სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით.

იძულება: ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ანდა რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო მოქმედება.[12]

აღნიშნული ძალადობის ფორმების განმარტებას იძლევა ასევე საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ''.

---

[11] საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

[12] მარინა მესხი, ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1, 2011
კ.ბოჭორიშვილი,მ.მესხი, ქ.ხუციშვილი, მ.ფერაძე, ნ.სააკაშვილი, ა.აბაშიძე, ნ.შავლაყაძე.ნ.ზაზაშვილი- სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ძალადობა სერიოზულ საფრთხეს უქმის ოჯახის წევრების ფსიქიკურ თუ ფიზიკურ ჯანმრთელობას, ამიტომ აუცილებელია მის წინააღმდეგ შესაბამისი ზომების გატარება. დაუშვებელია მის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება, განსაკუთრებით საზოგადოების და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება აღკვეთოს ოჯახში ძალადობა და გაატაროს ყველა ის საჭირო ღონისძიებები რაც შესაძლებელს გახდის დანაშაულის პრევენციას.

თავი III. ოჯახში ძალადობის შესახებ ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და სასამართლო პრაქტიკა

3.1. ოჯახში ძალადობა საქართველოს სამართლებრივ სისტემასა და პრაქტიკაში

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიოში გავრცელებული იყო აზრი, რომ ძალადობა ოჯახში საკმაოდ უსაფრთხო ოჯახური კინკლაობაა, რომელშიც სასურველია გარეშე პირები არ ჩაერიონ. დღეს ამ მოვლენისადმი შეხედულება კარდინალურად შეიცვალა. მრავალრიცხოვანმა კვლევებმა და დაკვირვებამ აჩვენა, რომ ძალადობა ოჯახში ადამიანის წინააღმდეგ მიმართული მძიმე დანაშაულების კატეგორიაში გადის, რომელიც ხშირად დაზიანებებით, ზოგჯერ კი - სასიკვდილო შედეგით სრულდება.[13]

დღევანდელი საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულია, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ ოჯახის ან მსხვერპლის საშინაო პრობლემა არ არის და ის აუცილებლად უნდა აღიკვეთოს. შესაბამისად, ამ პრობლემის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა დაიწყო - ქვეყნებმა შექმნეს სპეციალური კანონმდებლობა ან არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანეს. ოჯახური ძალადობა აღიარებულ იქნა სახელმწიფოს მიერ და ბევრი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, კანონმდებლობაც დაიხვეწა იმ მიმართულებით, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/მსხვერპლნი და მასზე დამოკიდებული პირები შემდგომი ძალადობებისგან დაიცვას. სახელმწიფომ საზოგადოების წინაშე ვალდებულება იკისრა, ებრძოლოს ძალადობას ოჯახში და იზრუნოს მისი პრევენციისათვის.[14]

საქართველოში 2009 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ყოველ მესამე ოჯახში ხდება ძალადობის შემთხვევები, შესაბამისად გატარდა რიგი ღონისძიებები სამართლებრივ სფეროში აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად და პრევენციისათვის. ქვეყანამ,

[13] ავტორთა კოლექტივი-სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (ირინე ხერხეულიძე-ოჯახური ძალადობის პრობლემის საერთაშორისო ხასიათი და ინსტრუმენტები)

[14] მარინა მესხი, ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები

ამ საკითხის სისხლისამართლებრივი რეგულირების კუთხით შექმნა რეალური მექანიზმი ოჯახის ყველა წევრის - და განსაკუთრებით კი ქალების და ბავშვების დაცვის თვალსაზრისით.

პრობლემის სამართლებრივ ჭრილში ხედვის თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაუთმო ყურადღება გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყნის საშინაო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, როდესაც 1994 წელს საქართველო შეუერთდა გაეროს კონვენციას ,,ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'', ხოლო 1997 წელს კი მონაწილეობა მიიღო და შეუერთდა პეკინის სამოქმედო პლატფორმას ქალთა უფლებების დაცვის და გენდერული უზრუნველყოფის მიზნით.[15] კონვენციის განმარტების მიზნით გამოცემულ რეკომენდაციებში აღინიშნა, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებაა, დაიცვან ქალები ძალადობის ყველა ფორმისგან, რომელიც აღმოცენდება ოჯახში, სამუშაო ადგილას ან სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში.[16]

აღსანიშნავია ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2006 წელს.

ამ კანონის მიზანია:

ა) შექმნას ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები;

ბ) შექმნას ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმები ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთის და თავიდან აცილებისათვის;

გ) უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა;

დ) შექმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლები;

---

[15] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (ირინე ხერხეულიძე-ოჯახური ძალადობის პრობლემის საერთაშორისო ხასიათი და ინსტრუმენტები)
საბედაშვილი გენდერი და დემოკრატია საქართველოს მაგალითზე 1991-2006 წლებში

[16] კოხოძე, მაისურაძე, მეშველიანი, ჯაჯანიძე, ჯომარჯიძე ,,ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმწიფო სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები''.ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი თბილისი, N1, 2011

ე) უზრუნველყოს სხვადასხვა ინსტიტუტს შორის თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.[17]

საქართველოს კანონმდებლობით ოჯახური ძალადობის საქმეებზე შესაძლებელია, როგორც სისხლისამართლებრივი, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმების გამოყენება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2012 წლის 25 ივნისს დაემატა ორი მუხლი. სსკ-ის ზოგად ნაწილს დაემატა 11[1] მუხლი, რომელიც ადგენს და განმარტავს პასუხისმგებლობას ოჯახური დანაშაულისათვის კოდექსის შესაბამის მუხლებზე მითითებით. (მუხლის დეფინიცია მოცემულია ოჯახში ძალადობის დეფინიციის თავში). ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე საჭირო გახდა ოჯახის წევრთა წრის გაფართოება. დღესდღეისობით ოჯახის საყოველთაოდ აღიარებული წევრების გარდა, იგი მოიცავს ყოფილ მეუღლეს და პირებს, რომლებიც ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ქალები უმეტეს შემთხვევაში ზუსტად რომ ყოფილი მეუღლეების მხრიდან ხდებოდნენ ძალადობის მსხვერპლნი, ეჭვიანობის ნიადაგზე ან შურისძიების მოტივით. ამის კარგი მაგალითია 2014 წლის 17 ოქტომბერს თბილისში მომხდარი შემთხვევა, როდესაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ლექტორი მისმა ყოფილმა მეუღლემ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა საჯაროდ, უნივერსიტეტის კედლებში. კვლევის თანახმად 2018-2019 წლებშიც გამოვლენილია არაერთი შემთხვევა ყოფილი მეუღლის მხრიდან განხორციელებული ძალადობისა, რომელიც ფატალური შედეგით დასრულდა.

ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ასევე 126[1] მუხლის დამატება სისხლის სამართლის კოდექსში. აღნიშნული მუხლების მიღების შემდგომ პროკურორებს მიეცათ სპეციალური რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციის მიზანი იყო ოჯახური დანაშაულის გამოძიების და სისხლისამართლებრივი დევნის განხირციელების ერთიანი პრაქტიკის დანერგვა და განვითარება. თუ საგამოძიებო ორგანოსთვის პირის ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე ცნობილია, რომ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ოჯახში ძალადობას, გამოძიება იწყება სსკ-ისმ 126[1] მუხლით და კვალიფიკაციის შეცვა შესაძლებელია დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანების ხარისხის დადგენის შემდეგ. ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში, სსკ-

[17] საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ''.

ის 11^1 მუხლში მოცემული რომელიმე მუხლით გამოძიების დაწყებისას კვალიფიკაციის განსაზღვრისას მითითება უნდა მოხდეს ასევე სსკ-ის 11^1 მუხლზე. [18]

მნიშვნელოვანია ასევე ოჯახური ძალადობის საკითხის გარშემო შემუშავებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმების განხილვაც, რომლებიც ასევე კავშირშია სისხლის სამართალთან. ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომლითაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლს პრევენციულად თავდაცვის საშუალება ეძლევა, ეს არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კანონმდებლობით გარანტირებული შემაკავებელი და დამცავი ორდერები.[19]

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. ეს ღონისძიებები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ დაწყებულია სისხლისამართლებრივი დევნა და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც, გამოცემიდან კანონით დადგენილი დროის 24 საათის განმავლობაში, დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.[20]

შემაკავებელ და დამცავ ორდერებს შორის განსხვავება შემდეგია: შემაკავებელ ორდერს პოლიციის თანამშრომელი უშუალოდ, ფაქტზე რეაგირების დროს (კონკრეტული ძალადობის ფაქტის დროს პოლიციის გამოძახებისას) გამოსცემს და იგი 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. სასამართლო წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილების საკითხს და გადაწყვეტილებას იღებს მისი დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ. რაც შეეხება დამცავ ორდერს, სასამართლო უფლებამოსილი პირის განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და

---

[18] ავტორთა კოლექტივი, გ.ტყეშელაშვილი, მ.ლეკვეიშვილი,გ.ნაჭყებია,ნ.თოდუა, ქ.მჭედლიშვილი-ფედრიხი,მ.მამულაშვილი.მ.ივანიძე,ი.ხერხეულიძე-სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,თბილისი, 2016წ, გვ.266

[19]მარინა მესხი- ,,ოჯახში ძალადობა-პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები'' გვ. 68-69 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, თბილისი, N1, 2011

[20] კ.ბოჭორიშვილი, მ. მესხი, ქ.ხუციშვილი, მ.ფერაძე, ნ.სააკაშვილი, ა.არღანაშვილი, ნ.შავლაყაძე, ნ.ზაზაშვილი-სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010

გადაწყვეტილებას იღებს დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმეის, მოქმედების გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ. კანონის თანახმად, დამცავი ორდერის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ან პირს, მსხვერპლის თანხმობით, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში - ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.[21] თუ მხარეები შერიგდებიან, დამცავი ორდერის მოქმედების გაუქმება შეიძლება მოსამართლის სათანადო გადაწყვეტილებით, სასამართლოსათვის ერთობლივი მიმართვის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი ოჯახის სხვა წევრის მიმართ არსებობს საფრთხე.

მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება:

- მოძალადისგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომები;
- მოძალადისგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები;
- მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;
- მოძალადისთვის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისას და ურთიერთობის რეგულირების საკითხები;
- მოძალადის მიახლოება მსხვერპლთან, მის სამსახურსა და სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება;
- სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

თავშესაფარი გულისხმობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელს ან დროებითი განთავსების ადგილს, რომელიც მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებასა და დაცვის ღონისძიებებს ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს საქართველოს მთავრობამ გაეროს ქალთა ფონდის მნიშვნელოვანი მხარდაჭერითა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დაფინანსებით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ორი თავშესაფარი გახსნა. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფო თავშესაფრების დაფინანსება სრულად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდება. მსხვერპლთა უსაფრთხო თავშესაფრით უზრუნველყოფასთან ერთად საქართველოს მთავრობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ ყველა სხვა საჭირო მხარდაჭერასა და დახმარებასაც მათ შორის იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სხვა დახმარებას გაუწევს და

[21] ავტორთა კოლექტივი, გ.ტყეშელაშვილი, მ.ლეკვეიშვილი,გ.ნაჭყებია,ნ.თოდუა, ქ.მჭედლიშვილი-ფედრიხი,მ.მამულაშვილი.მ.ივანიძე,ი.ხერხეულიძე-სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,თბილისი, 2016წ

უზრუნველყოფს მათი რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის საჭირო ღონისძიებებს. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ადმინისტრირებული თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით მოქმედებენ, განაგრძობს საქმიანობას და საქართველოს ხელისუფლების მიერ სტრუქტურირებული პროგრამების მეშვეობით მოსახლეობის ამ მოწყვლადი ჯგუფისათვის დახმარების გაწევის პარალელურად კვლავ გაუწევს დახმარებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ.[22]

ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდესის ნორმების შესაბამისად.

სისხლისამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ისეთ შემთხვევევებში, რომლებიც შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულის ისეთ ნიშნებს, როგორებიცაა: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება; გაუპატიურება; თავისუფლების უკანონო აღკვეთა და სხვა.

სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მოაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი; ასევე, არამატერიალური ზიანის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად:

1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც.[23]

მნიშვნელოვანი საკითხია ასევე შემაკავებელი და დამცავი ორდერის აღსრულების და სსკ-ის შესაბამისი ნორმის ურთიერთქმედებაც, კერძოდ, თუ ,, საქართველოს ადმინისტრაციულ

---

[22] კ.ბოჭორიშვილი, მ. მესხი, ქ.ხუციშვილი, მ.ფერაძე, ნ.სააკაშვილი, ა.არღანაშვილი, ნ.შავლაყაძე, ნ.ზაზაშვილი სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე.
მარინა მესხი, ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2010წ

[23]მარინა მესხი, ოჯახში ძალადობა-პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. კ.ბოჭორიშვილი, მ. მესხი, ქ.ხუციშვილი, მ.ფერაძე, ნ.სააკაშვილი, ა.არღანაშვილი, ნ.შავლაყაძე, ნ.ზაზაშვილი-სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სამართალდარღვევათა კოდექსის'' 175[2] მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას შემაკავებელი და დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ამავე ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სისხლისამართლებრივი წესით დასჯადად აცხადებს საქართველოს სსკ-ის 381[1] მუხლი ისეთ შემთხვევებში, რომელიც ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის მიერ.

2014 წლის ოქტომბერს კანონის მე-9 პრიმა მუხლში შესული ცვლილებებით კანონის მე-16 მუხლს დაემატა ძალიან მნიშვნელოვანი დებულება, რომლის მიხედვით ,,საჭიროების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია მოძალადე გაარიდოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან და უზრუნველყოს მსხვერპლის უსაფრთხოება. პოლიცია უფლებამოსილია დამცავი ან შემაკაცებელი ორდერის შესაბამისად მოძალადე გაარიდოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან იმ შემთხვევაშიც კი როცა ეს ადგილი მოძალადის საკუთრებაა, თუკი მსხვერპლი არ სარგებლობს თავშესაფრით და მას სურს დარჩეს საცხოვრებელ ადგილზე.[24]

უკანასკნელ წლებში გატარებული რეფორმების თანახმად ასევე შექმნილია მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი ალტერნატიული ორგანო - საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის სახით; დადგინდა მსხვერპლის სტატუსის მინიჭების წესი; მიღებულ იქნა რეფერირების მექანიზმი; განისაზღვრა კრიზისული ცენტრის ცნება და სტანდარტები, ცვლილებები შევიდა შრომის კანონმდებლობაში, კერძოდ, ოჯახური ძალადობის მსხვერპლის მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი. მსგავსი ცვლილებები განიცადა საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონმაც, რომლის მიხედვითაც, მოხელეს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, თუ ის მოთავსებული იქნა თავშესაფარში, უნარჩუნდება თანამდებობა, თუ მის მიერ შეუძლებელია სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულება 30 კალენარული დღით.[25]

სამოქმედო ინსტრუქცია ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციისათვის (შემდგომში-ეროვნული რეფერალური მექანიზმი) ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის სფეროში მომუშავე საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების,

---

[24] ავტორთა კოლექტივი, გ.ტყეშელაშვილი, მ.ლეკვეიშვილი,გ.ნაჭყებია,ნ.თოდუა, ქ.მჭედლიშვილი-ფედრიხი,მ.მამულაშვილი.მ.ივანიძე,ი.ხერხეულიძე-სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016 წ, გვ.267

[25] ჰელვე კაზე, ესტონეთის ღია საზოგადოების ინსტიტუტის პროექტი ,,საქართველოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დასახმარებლად''.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთშეთანხმების დოკუმენტია. ეროვნული რეფერალური მექანიზმის მიზანია იმ ღონისძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომელნიც მიმართული იქნება ოჯახში ძალადობის აღკვეთაზე, პრევენციასა და მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებაზე.

რეფერალურ მექანიზმს, რომელიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ კომპლექსურ ღონისძიებებს ითვალისწინებს, შემდეგი ძირითადი პრონციპები უდევს საფუძვლად:

1) ოჯახში ძალადობის პრევენცია
2) მოძალადის წინააღმდეგ ეფექტური და მოქნილი მექანიზმების სწრაფი რეალუზება
3) მსხვერპლთა დაცვა
4) ადრეული ინტერვენცია
5) მსხვერპლთა ხელშეწყობა, ახალი ცხოვრების დაწყებაში დახმარება

ეფექტური სამოქმედო სტრატეგია უნდა შეიცავდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ადვილად ხელმისაწვდომ კომპლექსურ მომსახურებას, მნიშვნელოვანია კოორდინირებული საქმიანობის პრონციპების ჩამოყალიბება. ეს უნდა მოიცავდეს როგორც ამ სფეროში პოლიტიკის შექმნასა და შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვას, ისე არსებული პოლიტიკის კოორდინებულ რეალიზებას, რაც პირველ ყოვლისა გულისხმობს სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობასა და ერთობლივ მოქმედებას. თანამშრომლობა და კოორდინირებული მოქმედება კი, თავის მხრივ ეროვნული რეფერალური მექანიზმის ეფექტური განხორციელების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.[26]

კვლევის ეტაპზე, საქართველოში არსებული სამართლებრივი სისტემის განხილვის გარდა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება ქვეყანაში არსებული პრაქტიკული მაგალითების განხილვაც.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მონაცემებით საქართველოში 2013-2018 წლების დანაშაულის სახეობის მიხედვით ძალადობა 6,464 ერთეულით პირველ ადგილზეა, 172 ერთეულით ჯანმრთელობის დაზიანება, 89 ერთეულით კი მკვლელობა[27].

[26] მარინა მესხი - ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, თბილისი, N1, 2011

[27] www.idfi.ge

შემაშფოთებელია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები. პრობლემის სიმძაფრე მთელი სიცხადით შევიგრძენით 2014 წელს, როდესაც ოჯახში ძალადობის შედეგად 17 ქალი იქნა მოკლული. ამის ნათელი მაგალითია 2014 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მომხდარი მკვლელობა, როდესაც ყოფილმა მეუღლემ უნივერსიტეტის კედლებში მოკლა ცოლი. ხშირად ისმის არგუმენტი, რომ რთულია ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება, რადგან იგი ჩაკეტილ სოციალურ წრეში ხდება. თუმცა, ქალთა მიმართ ძალადობა დიდი ხანია გასცდა ჩაკეტილ სივრცეს.

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბები გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის შეშფოთების საგნად იქცა. კერძოდ, 2014 წელს 58-ე სესიაზე საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული ანგარიშის განხილვის შედეგად, კომიტეტმა საქართველოს მთავრობას ქმრების და პარტნიორების მიერ ქალთა მკვლელობების მზარდი ფაქტებისა და ოჯახში ძალადობის სხვა ფორმების აღსაკვეთად, სასწრაფო ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს, შსს სსიპ ,,112''-ის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში ოჯახში ძალადობის/კონფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინებების რაოდენობა 9 290-ს შეადგენს. თუმცა, აღნიშნული მონაცემები მხოლოდ პირველა ინფორმაციას წარმოადგენს, ხოლო ასეთ შეტყობინებებზე უფლებამოსილი სამსახურების რეაგირების შედეგად შემთხვევის ადგილზე არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ამუშავებს.

რაც შეეხება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სისხლისამართლებრივი მქანიზმების გამოყენების სტატისტიკას, საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 1261 მუხლით - ოჯახში ძალადობა - სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ, ხოლო სსკ 111, 1261 მუხლების მიხედვით -333 პირის მიმართ. სულ რეგისტრირებულია 495 ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 111,1261 მუხლებით გამოძიება დაიწყო 480 საქმეზე, ხოლო სსკ 1261 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის 44 საქმეზე. დაზარალებულად ცნეს 525 ქალი, მათ შორის 32 არასრულწლოვანი, 135 მამაკაცი, მათ შორის18 არასრულწლოვანი.[28]

[28] - ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში-საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის სპეციალური ანგარიში.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად 2014 წლიდან ოჯახში ძალადობის მაჩვენებელმა საგრძნობლად იმატა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს დაზარალებული, მსხვერპლი მხარის საგამოძიებო ორგანოებისათვის დახმარების მიმართვიანობის ხარჯზე მოხდა. რეალურად ოჯახში ძალადობა უფრო ლატენტურ ხასიათს ატარებდა (მსხვერპლის შიშის, საზოგადოების კრიტიკის გამო, იხ. ლიტერატურის მიმოხილვაში)დღესდღეისობით კი ხდება მსხვერპლის მიერ მათი სააშკარაოზე გამოტანა და ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სამართალდამცავი ორგანოებისათვის.

2019 წლის მონაცემებით რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა უკვე აღემატება 2014-2017 წლებში მთელი წლის განმავლობაში დაფიქსირებულ მაჩვენებლებს, რაც განაპირობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებამ, პოლიციისადმი გაზრდილმა ნდობამ, და შესაბამისად გაზრდილმა მიმართვიანობამ.

მაგრამ ამ დანაშაულის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება მაინც იგრძნობა ხშირ შემთხვევებში. მაგალითად ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მონიტორინგის ანგარიში N10, რომელიც ოჯახში ძალადობის საქმეებზე სასამართლო პროცესებიდან გამომდინარე არის გაკეთებული.

სასამართლო პროცესებზე ხშირად იდენტიფიცირება ხდება დაზარალებულის და პროცესის სხვა მონაწილის (ადვოკატის, პროკურორის) დამოკიდებულება აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით. მათი განმარტებებიდან იკვეთება ლოიალური და შემწყნარებლური დამოკიდებულება ამ დანაშაულების მიმართ. აღნიშნული მიდგომები კი, შესაძლოა ახალისებდეს ოჯახში ძალადობის ჩადენას ხელს უშლიდეს ქალებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაში და მოძალადის მხარდამჭერი ეფექტი ჰქონდეს. [29]

მაგალითი: ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ საქმეზე ადვოკატმა შესავალი სიტყვის წარმოთქმისას აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებზე პირის პასუხისგებაში მიცემა არ უნდა ხდებოდეს: *„ოჯახი ისეთი რამ არის, რა კონფლიქტიც არ უნდა მოხდეს, ის სახლის კედლებს არ უნდა გასცდეს. არ არის აუცილებელი მსგავსი მკაცრი მიდგომა პროკურატურის მხრიდან აღნიშნულ დანაშაულებზე".*

[29] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია-ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები (თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის და თელავის სასამართლოების მონიტორინგის ანგარიში) N10

შესაბამისად ნათელია, რომ ოჯახში ძალადობა პრაქტიკაში კვლავ აღიქმება მსხვერპლისა და მოძალადის პირად საქმედ, რაც უფრო ლმობიერად არის შეფასებული, ვიდრე იმავე სიმძიმის სხვა დანაშაულები.

მაგალითი: პირს ბრალად ედებოდა შვილის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. თუმცა, მოძალადე მის მიერ ჩადენილ ქმედებას დანაშაულად არ აღიქვამდა. *,,ვისი რა საქმეა ჩემს შვილს ვცემ თუ არა რასაც მინდა, იმას ვიზამ".*

ასევე, ბრალდებული აგრესიულად იყო განწყობილი დაზარალებულის მიმართ და საყვედურობდა, რომ გამოძიების დაწყება მისი მიზეზით მოხდა.

მაგალითი: პირს ბრალი ედებოდა არასრულწლოვანი შვილების მიმართ განხორციელებულ ძალადობაში. ბრალდებულმა სასამართლო პროცესზე აღნიშნა, რომ როგორც მამას, მას აქვს უფლება აღზრდის მიზნით სცემოს შვილებს. ასევე არ იცოდა, რომ ეს ქმედება კანონით ისჯებოდა თუ არა.

შესაბამისად აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ადგილი აქვს ასევე შესაბამისი ინფორმაციის არ ქონას კერძოდ იმის შესახებ, რომ ეს ქმედება წარმოადგენს დანაშაულს და თუ რა სახის სამართლებრივი მექანიზმები და სასჯელი გამოიყენება მისი ჩადენის შემთხვევაში. აღნიშნული განცხადებები ძირითადად დამახასიათებელია რაიონში მაცხოვრებელი ხალხისათვის, რომელთაც არ აქვთ ინფორმაციის მიღების რაიმე საშუალება და წყარო. თბილისის საქალაქო სასამართლოში რამოდენიმე სხდომაზე დასწრების შედეგად გამოიკვეთა დაზარალებულის პოზიცია, რომელმაც დააფიქსირა, რომ *,,არ ვიცოდი აღნიშნული ქმედების გამო ჩემს ქმარს ციხეში თუ ჩასვამდნენ, მეგონა უბრალოდ პოლიცია მოვიდოდა და შეეშინდებოდა".*

ასევე ხშირია მაგალითები, როდესაც დამნაშავე პირი არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი და დაზარალებული რჩება მარტო შვილებთან ერთად.

მაგალითი: პირს ბრალი ედებოდა არასრულწლოვნის თანდასწრებით მეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. მოსამართლემ დაზარალებულს პოზიციის დაფიქსირება სთხოვა. მსხვერპლმა განაცხადა, რომ ეკონომიკურად დამოკიდებული იყო მოძალადეზე და არ უნდოდა ქმრის დასჯა. ,, *რაც შეუძლია, თავისი შრომით, ყველაფერს აკეთებს და არაფერს გვაკლებს. ის არის ჩემი მარჩენალი, მასზე ვართ დამოკიდებულნი მე და ჩემი შვილები, მის გარეშე ცხოვრების გაგრძელების იმედი არ მაქვს, ის გვარჩენს ყველას. მე არ ვაპირებ ოჯახის დანგრევას და არც არასდროს მიფიქრია ეგ. აპატიეთ და შეღავათები გამოიყენეთ მის მიმართ".*

კიდევ ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა ცოლის მიმართ განხორციელებულ ძალადობას, დაცვის მხარემ წარმოადგინა განცხადება, რომლის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ დაზარალებულს

აღარ ჰქონდა პრეტენზია მოძალადის მიმართ და მასთან შეერიგებას აპირებდად. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, ადვოკატმა მოითხოვა ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება. პროკურორის თქმით, განცხადების დაწერა განპირობებული იყო იმით, რომ მსხვერპლს მოძალადის ეშინოდა.

ბრალდების მხარის ეჭვები გაამყარა შემდეგმა გარემოებამაც: სხდომის დარბაზში მყოფმა დაზარალებულმა ერთ-ერთ პირთან საუბარში აღნიშნა, რომ ეს განცხადება მას ზემოქმედების ქვეშ ჰქონდა დაწერილი და არ სურდა მეუღლის სახლში დაბრუნება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, თავის აზრს საჯაროდ ვერ აფიქსირებდა.[30]

საყურადღებოა ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მეორე ნაწილის ,,ა'' და ,,ბ'' ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები. ოჯახში ძალადობა, რომელიც ხორციელდება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომაორებაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ; არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ.

მაგალითად: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 14 აპრილის განაჩენით პირს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამას. ასევე სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა დედას, მეუღლეს, მამას, კერძოდ ეუბნებოდა, რომ თოფის გამოყენებით მოკლავდა მათ.[31](განაჩენი იხ. დანართში).

აღნიშნულ საკითხებს ეხება ასევე მითითებული განაჩენები, რომელიც ქვეყანაში არსებულ პრობლემას ნათლად წარმოაჩენს.

ესეთი ძალადობის უმთავრესი მიზეზია პირის სურვილი, დომინირებდეს და კონტროლი განახორციელოს მასზე დამოკიდებულ (ან მის მიერ ასეთად მიჩნეულ) ადამიანებზე. ძალადობრივი გამოვლინების რისკი გვხვდება სხვადასხვა გარემოში, მათ შორის იმ პირთა მიმართ, რომელნიც მოძალადესთან მიმართებაში იმყოფებიან სიტუაციურად ანდა სხვა ფაქტორით განპირობებულ უთანასწორო მდგომარეობაში. მსხვერპლის როლში ხშირ შემთხვევაში გვევლინებიან ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მოხუცები, რომელთა უთანასწორო მდგომარეობა აადვილებს მათზე ძალადობის განხორციელებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ შესწავლილი

[30] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია-ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები (თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის და თელავის სასამართლოების მონიტორინგის ანგარიში) N10

[31] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 14 აპრილის განაჩენი N 1/195-20

1236 განაჩენიდან გამოვილნდა შემდეგი: ოჯახში ძალადობა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ იქნა 136 შემთხვევაში; ოჯახში ძალადობა წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ 3 საქმეში, ასევე, მონაცემების მიხედვით ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობამ შეადგინა 3, ხოლო მსხვერპლი ორსული ქალი იყო 24 პირი. კვლევის ფარგლებში შესწავლილი საქმეებიდან (216-2017) გამოიკვეთა, რომ მსხვეპრლი 136 ბავშვიდან უმეტესობა იყო გოგო-79, ხოლო ბიჭი 57. აქვე აღსანიშნავის, რომ არასრულწლოვანზე მოძალადე ხშირ შემთხვევაში არის ბავშვის მამა/მამობილი.

განსაკუთრებით მძიმე შედეგები აქვს ოჯახში ძალადობას ბავშვის ფსიქიკასა და ნორმალურ განვითარებაზე იმ შემთხვევებშიც, როდესაც ძალადობის ობიექტი უშუალოდ ბავშვი არ არის, თუმცა იგი მოწმე ხდება ძალადობრივი გამოვლინებების. მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ,,არასრულწლოვნის თანდასწრებით, ოჯახში ძალადობა, როგორი ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს, მის ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე სავალალო გავლენას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ძალადობის უშუალო მსხვერპლს არ წარმოადგენს, ძალადობის მოწმედ ყოფნა, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან ადამიანებს შორის, როგორც მშობლებია, უარყოფითად აისახება მის კეთილდღეობაზე და მოწყვლადს ხდის აგრესიული ქცევების ათვისებისა და შემდგომში გამოვლინების მიმართ''.[32]

,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის'' (სტამბოლის კონვენციის)56-ე მუხლის მე-2 ნაწილი სახელმწიფოებს ავალდებულებს ოჯახში ძალადობის ან ქალთა მიმართ ძალადობის მოწმე ბავშვის დაცვის მიზნით შესაბამისი ზომების მიღებას. აღნიშნული კონვენციის საფუძველზე ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ვ'' ქვეპუნქტს დაემატა ჩანაწერი, სადაც ნათქვამია, რომ ,,მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა''. 2016-2017 წლებში ოჯახში ძალადობის ფაქტს შეესწრო დაახლოებით 614 ბავშვი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინებაში ნათქვამია, რომ ,,ოჯახური ძალადობა, რაც ტრადიციულად მიიჩნეოდა ოჯახის ,,შოდა საქმედ'' გასცდა ამ ვიწრო გაგებას და იგი დღეის მდგომარეობით მიჩნეულია ისეთ დანაშაულად, რომელიც საფრთხეს უქმნის არამარტო ცოლ-ქმრის ურთიერთობას, არამედ მცირეწლოვანი შვილების ნორმალურ

[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი-მართლმსაჯულება და კანონი #3(59)'18.

ფსიქიკურ გარემოში განვითარებას. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, ისევე როგორც ოჯახში ძალადობის შემსწრე ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ როგორც ქცევითი, ასევე ფიზიკური, ემოციური და სოციალური პრობლემები. გორის რაიონულ სასამართლოში ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე ჩატარებულ დახურულ სხდომაზე ფსიქოლოგის, არასრულწლოვნის ადვოკატის და მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით მოწმის სახით დაკითხვისას, არასრულწლოვანმა განმარტა, რომ როდესაც მისი მამა სახლში მოდიოდა ხშირად ეჩხუბებოდა დედას. ერთ დღეს ღამით მშობლებს მოუვიდათ კონფლიქტი. მთვრალ მდგომარეობაში მყოფი მამა ამტვრევდა ყველაფერს რა დროსაც მან დაარტყა და წააქცია. არასრულწლოვნის განმარტებით ამ დროს მას შეეშინდა, ცდილობდა მშობლების გაშველებას თუმცა თვითონაც წაიქცა. იგი დედასთან ერთად სახლიდან გამოვიდა. დედამ აღნიშნულის შესახებ შეატყობინა პოლიციას. პოლიციელების მოსვლის შემდეგ ისინი გადაიყვანეს თავშესაფარში, სადაც დღემდე ცხოვრობენ. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ ,,ბრალდებულის ძალადობრივ ქმედებას შედეგად მოჰყვა არა მარტო მეუღლის სხეულის დაზიანება, არამედ მისი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა, არამედ დაირღვა დანაშაულის თვითმხილველი არასრულწლოვნის სოციალურად ჯანმრთელ ნორმალურ გარემოსა და თავისუფალ და ღირსეულ პირობებში ფიზიკური, გონებრივი და სულიერი განვითარების ფუნდამენტური უფლება(ბავშვთა უფლებათა დეკლარაცია).[33]

[33] საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი-მართლმსაჯულება და კანონი #3(59)’18

3.2. არასრულწლოვანთა მიმართ ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში ბავშვთა ძალადობისა და უგულებელყოფისგან დაცვის სამართლებრივი საფუძველია შემდეგი ნორმატიული აქტები: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ; ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება #152/ნ–#496–#45/ნ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ. გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენცია, როგორც საერთაშორისო სამართლის დოკუმენტი, ხაზს უსვამს ბავშვთა მიმართ ძალადობის განსაზღვრების მნიშვნელობას მარეგულირებელ აქტებში და აღნიშნავს, რომ ბავშვთა „მიმართ ძალადობისა და უგულებელყოფის“ ცნება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საზოგადოების მიერ ძალადობად აღიარებული გავრცელებული პრაქტიკით. აღნიშნულში უნდა მოვიაზროთ ბავშვთა დაცვა „ძალადობის ყველა ფორმისგან“; ამ მიზნით ასევე უნდა გადაისინჯოს სხვადასხვა ქვეყნისა თუ კულტურის უკვე ტრადიციად დამკვიდრებული ძალადობის ფორმები, რომლებიც შესაძლოა საზოგადოებას არ მიაჩნდეს ბავშვის მიმართ ძალადობად.

გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კომიტეტის მე-13 ზოგადი კომენტარის „ბავშვის უფლება დაცულ იყოს ყველა ფორმის ძალადობისგან“ მე-19 მუხლი გამოყოფს ბავშვის მიმართ ძალადობისა და უგულებელყოფის სპეციფიკურ ფორმას, ესაა ბავშვთა მიმართ ინსტიტუციური, სისტემის მხრიდან განხორციელებული ძალადობა, რომელიც გულისხმობს, რომ პასუხისმგებელი პირები – სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები – რომელთაც ევალებათ ბავშვთა მიმართ ძალადობასა და უგულებელყოფაზე ეფექტური რეაგირება, შესაძლებელია, თავად წარმოადგენდნენ ბავშვთა მიმართ ძალადობის წყაროს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეფექტურად ვერ ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ინსტიტუციური ძალადობის ფორმებია: არგატარება შესაბამისი საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული ღონისძიებებისა, რომლებიც ბავშვებს დაიცავდა ძალადობისგან; ასევე არასაკმარისი მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების მობილიზაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად. პროფესიონალები, რომლებიც ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში არ ითვალისწინებენ ბავშვის ჭეშმარიტ

ინტერესს, არ აღმოუჩენენ ბავშვს დროულ და ეფექტურ დახმარებას, დატოვებენ ბავშვს საფრთხის შემცველ გარემოში ა.შ.

არასრულფასოვანი ეროვნული სტატისტიკა ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულებელყოფის შემთხვევების შესახებ ქვეყანაში ბავშვთა მიმართ ძალადობაზე ზოგადი სურათის შესაქმნელად სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრმა გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია ყველა სახელმწიფო დაწესებულებიდან, რომელთაც ეხება აღნიშნული საკითხი. მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს ძალადობის საკითხის შესწავლაში მონაწილე სუბიექტების არაკოორდინირებულ მუშაობას.

არსებული პრაქტიკის ანალიზმა გამოააშკარავა ხარვეზები საკანონმდებლო რეგულირების სფეროში, კერძოდ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში: დოკუმენტი არ მოიცავს/ცხადად არ მიუთითებს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებზე, როგორც მიზნობრივ ჯგუფზე. შესაბამისად, მასში არ არის გათვალისწინებული ისეთი სპეციფიკური შემთხვევები და პრობლემები, რომელებიც წამოიჭრება აღნიშნულ მიზნობრივ ჯგუფთან მუშაობისას. კერძოდ, აღნიშნული ბრძანების მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულია, რომ ბავშვზე ძალადობის გამოვლენა ევალება ყველა დაწესებულებას, რომლებსაც აქვთ ურთიერთობა ბავშვებთან, ძალადობის გამოვლენის ადგილად კი მითითებულია ბავშვზე ზრუნვისა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებები. შესაბამისად, ვინაიდან ქუჩაში მყოფი/მომუშავე ვერ ერთ აღნიშნულ დაწესებულებაში დიდი ალბათობით ვერ მოხვდება, მის მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინების ვალდებულება ბრძანების მიხედვით რეგულირების სფეროს გარეთ რჩება. ბრძანება ასევე არ აკეთებს რეფერირებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე პირველი პრიმა მუხლზე, რომლის თანახმადაც ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებულნი არიან ამის შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულწლოვნის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ვალდებულნი არიან გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება არ განიხილავს განსხვავებულ პროცედურას, რომელიც საჭიროა არსებობდეს მოქალაქის მიერ ბავშვის მიმართ ძალადობისა და უგულებელყოფის დროს შეტყობინებისას. აგრეთვე, არ არის მითითებული, თუ რა ვალდებულება ეკისრება სააგენტოსა და პოლიციის თანამშრომლებს, თუ თავად ხვდებიან უგულებელყოფის მსხვერპლ ბავშვს ქუჩაში და აღნიშნულზე ოფიციალური შეტყობინება არ მიუღიათ.

არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის შემთხვევების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სოციალური სამსახურის მიერ ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისას ხშირ შემთხვევაში არ ტარდება საკმარისი ღონისძიებები ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დასადგენად და დასაცავად. აშკარაა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო ყოველთვის არ ან ვერ ასრულებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრულ მოვალეობას:

1. სრულფასოვნად ვერ აფასებს ბავშვის უგულებელყოფისა და ბავშვზე ძალადობის საფუძვლიან ეჭვს;

2. არ რთავს სამედიცინო პერსონალს, რათა მან სრულფასოვნად შეაფასოს შემთხვევა და შეამოწმოს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა უგულებელყოფის დასადგენად;

3. არ რთავს კვალიფიციურ ფსიქოლოგს შემთხვევის მართვის ადრეულ ეტაპზე, რათა ამ უკანასკნელმა დაადგინოს ფსიქოლოგიური/ემოციური ძალადობის ფაქტი.

3.3. საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები და მექანიზმები ოჯახში ძალადობის შესახებ

ოჯახში ძალადობის, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევის, აღიარებას, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა. თავდაპირველად ოჯახში ძალადობის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების ინტერესი საკმაოდ დაბალი იყო და იგი ნაკლებად თუ განიხილებოდა ადამიანის უფლების უხეშ დარღვევად.

ასეთ მიდგომასთან დაკავშირებით ინტერამერიკულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განაცხადა: ,,უკანონო ქმედებამ, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და რომელიც პირდაპირ არ მიეწერება სახელმწიფოს (თუ ასეთი ქმედება ჩადენილია კერძო პირის მიერ ან პასუხისმგებელი პირის გამოკვეთა ვერ მოხდა), შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა. თუმცა პასუხისმგებლობას იწვევს არა თვითონ ქმედება, არამედ სახელმწიფოს არასათანადო მცდელობა, თავიდან აეცილებინა დარღვევა ან მოეხდინა მასზე შესაბამისი რეაგირება ისე, როგორც ამას ითხოვს კონვენცია''. დღესდღეისობით საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტებში კონკრეტულად და გარკვევით არის მითითებული,

რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, აღკვეთო ოჯახში ძალადობა და დასაჯონ შესაბამისი პირები.[34]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტები, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948) (UDHR), ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (1979) (CEDAW), ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია (1989) (CRC)განამტკიცებენ თითოეული ადამიანის საყოველთაო უფლებათა და თავისუფლებათა პრინციპებს. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ორი კოვენცია: CEDAW და CRC. ისინი ხელმძღვანელობენ ადამიანის უფლებათა ფართო ცნებით და ეხებიან როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, ისე ეკონომიკურ უზრუნველყოფასთან, ჯანდაცვასა და განათლებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, რომლებიც ქალებისა და ბავშვების ყოველდღიური ცხოვრების ხარისხზე ახდენენ გავლენას.[35]

უპირველესად, უნდა აღინიშნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და სამი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით: 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1966 წლის საერთაშორისო პაქტები სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებსა და ეკონომიკიურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე. ეს დოკუმენტები პირდაპირ არ შეიცავენ მითითებას ოჯახში ძალადობაზე, თუმცა ისინი სახელმწიფოებს აკისრებენ ვალდებულებას დაიცვან ადამიანის ის ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც ირღვევა ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, ანუ სიცოცხლის უფლება, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის უფლება, კანონის წინაშე თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება.

1979 წლის კონვენცია ,,ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' (CEDAW) ქალთა უფლებების მარეგულირებელი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტია. აღნიშნული კონვენცია პირველი საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელმაც დაადგინა როგორც საჯარო ისე კერძო სფეროში (მათ შორის ოჯახში) მომხდარი ადამიანის უფლებების დარღვევის გამო სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა.[36]

---

[34] რუსუდან კოხოძე, მარიამ მაისურაძე, ეკატერინე მეშველიანი, მარიამ ჯაჯანიძე, ნინო კომარჯიძე- ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმფიწო სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები,ივ,ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1,2011

[35] მარინა მესხი - ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები

[36] რუსუდან კოხოძე, მარიამ მაისურაძე, ეკატერინე მეშველიანი, მარიამ ჯაჯანიძე, ნინო კომარჯიძე- ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმფიწო სისტემაში და მასთან ბრძოლის

ანასტასიას ამბავის სახელით ცნობილი შემთხვევა კარგი მაგალითია იმისა თუ როგორ დაიღვა პირის უფლებები სახელმწიფოს მხრიდან და თუ როგორ დაირღვა CEDAW -ის მე-2-ე მუხლის ძირითადი მოთხოვნა.

ანასტასიას ამბავი:

,, ქალი ხარ და უნდა მოითმინო, წადი სისხლი მოიწმინდე, ვინმემ არ დაგინახოს, სირცხვილია!'' - ასე უთხრა მამამთილმა ანასტასიას, როცა ის მოუყვა, თუ როგორ სცემდა ქმარი, ანუ იმ კაცი შვილი, რომელიც ამ ფაქტის დამალას დღესაც ცდილობს. ეს ბატონი საჯარო მოხელეა და საჯარო სამსახურში გადაწყვეტილებებს დღესაც იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ცემის ფაქტს არ ამართლებს, ექვსი წელია რძალს მოთმინებას ავალდებულებს. 22 წლის გოგონა ამბობს, რომ სცხვენოდა ხალხის, საზოგადოების და ეშინოდა მშობლებს არ გაეგოთ, ქმარი რომ ცემად: ,,ვფიქრობდი, დამნაშავე ვიყავი, ვშიშობდი, საზოგადოება ისევ მე დამადანაშაულებდა, საკუთარ თავს ვალდებულად ვთვლიდი, რომ ბავშვები ოჯახურ გარემოში ანუ მამის გვერდით გაზრდილიყვნენ: მეშინოდა იმისიც, რო მეგობრების გარეშე დავრჩებოდი''. ხოლო ჩხუბი სკამების ბრახუნით დაიწყო, ოჯახური ძალადობის მომსწრე საპატრულო პოლიციაც გახდა. სასწრაფო დახმარებამ, რომელიც ნაცემი და გონებადაკარგული ქალითვის მეზობლებმა გამოიხაძეს, ინციდენტის შესახებ საპატრულო პოლიციას აცნობა. პოლიციამ ოჯახური ძალადობის ყველა დეტალი აღწერა, ჩაინიშნა, თვითმხილველებიც დაიმოწმა და ხელიც მოაწერინა, ოქმის ასლებიც ჩააბარა მხარეებს. თუმცა, გამოძიება ამ საქმეზე არ დაწყებულა და არც სისხლის სამართლის საქმე აღძრულა. ანასტასია ფიქრობს, რომ ეს მისი მამამთილის, ,,გავლენიანი'' საჯარო მოხელის დამსახურებაა. სახელმწიფო ამ კონკრეტულ შემთხვევაში არაკეთილსინდისიერად მოიქცა. პოლიციელებმა რომლებიც შეესწრნენ ფაქტს, თუ როგორ იღვეოდა ადამიანის უფლება, არ გაატარეს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი საგამოძიებო მოქმედებები. შესაბამისად დაირღვა ქალის უფლება არა მარტო მოძალადე ქმრის, არამედ სახელმწიფოს მხრიდანაც.[37]

სწორედ მსგავსი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით ,,ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' (CEDAW) კონვენციის მე-2 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს, გაკიცხონ დისკრიმინაცია ქალების მიმართ და აღმოფხვრან იგი კონსტიტუციური,

---

საშუალებები,ივ,ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1,2011

[37] ნათია როყვა, ოჯახში ძალადობა - ანასტასიას ამბავი, კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (CEDAW) თანასწორობა, კანონმდებლობა, რეალობა თბილისი, 2011.

საკანონმდებლო და სხვა შესაბამისი საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებები ვრცელდება სახელმწიფო მოღვაწეებზე და ინტიტუტებზე, კერძო პირებზე, ორგანიზაციებსა და საწარმოებზე. სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, რომ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებმა და კერძო პირებმა თავი შეიკავონ ქალების მიმართ დისკრიმინაციისაგან და ეცადონ მის აღმოფხვრას. ვალდებულებები რომლებსაც მე-2 მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს, სცდება საკანონმდებლო საზღვრებს. სახელმწიფოებმა ქალთა თანასწორობის პრინციპების პრაქტიკული რეალიზაცია საკანონმდებლო ან სხვა შესაბამისი საშუალებებით უნდა განახორციელონ.[38]

1985 წელს ქალთა მესამე მსოფლიო კონფერენციაზე, კენიაში, ოჯახში ძალადობის საკითხს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. კონფერენციის საბოლოო ანგარიშში გაჟღერდა სახელმწიფოების მიმართ შემდეგი სახის მოწოდება: ,, მათ უნდა მიიღონ ეფექტური ზომები, მათ შორის საზოგადოებრივი რესურსის მობილიზაციის კუთხით, რათა მოხდეს ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა სახის ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის, იდენტიფიცირება, თავიდან აცილება და აღმოფხვრა, ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მოხდეს თავშესაფრის, მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს პეკინის სამოქმედო პლატფორმა (1995), რომელიც ქალის მიმართ ძალადობის ორ ძირითად ფორმას გამოყოფს: ა) ძალადობას, რომელიც თავს იჩენს ოჯახში; ბ) ძალადობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამუშაო ადგილზე ძალადობის, ქალებით ვაჭრობის და იზულებითი პროსტიტუციის ჩათვლით. აღნიშნული პლატფორმა სახელმფიწოებს სთავაზობს, მიიღონ და აამოქმედონ ოჯახში ძალადობის შესახებ კანონმდებლობა, რომელიც ასევე ქალის წინააღმდეგ ძალადობის აღკვეთას ეხება.

ევროპის საბჭოს კონვენცია ,,ქალების მიმართ და ოჯახში ძალადობის აკრძალვის შესახებ'' გამოყოფს ქალებზე ძალადობას ოჯახში ძალადობისგან. ამ კონვენციის თანახმად, ოჯახში ძალადობის ყველა ფორმა, ჩადენილი ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ უნდა აღიკვეთოს. კონვენცია სახელმწიფოებს აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს, კერძოდ, მათ უნდა წაახალისონ საზოგადოება, განსაკუთრებით მამრობითი სქესის წარმომადგენლები, ხელი შუწყონ ოჯახში ძალადობის აღმოფხვრას. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლებები. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სპეციალური საგანმანათლებლო სამუშაოებისა და ტრენინგების ჩატარება,

[38] კონვენცია ,,ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ'' (CEDAW)

რომლებიც ხელს შეუწყობენ ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზების, სტერეოტიპების და ტრადიციების ნგრევას, შექმნან სპეციალური დაწესებულებები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად.[39]

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტი არის ,,ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ'' კონვენცია ე.წ. ,,სტამბოლის კონვენცია'', რომელიც მიიღეს 2011 წლის 11 მაისს. ის არის პირველი სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ეხება ქალთა წინააღმდეგ ძალადობას, როგორც დისკრიმინაციის ფორმას ქალთა/ადამიანთა უფლებების წინააღმდეგ. კონვენცის სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ ქალთა წინააღმდეგ და ზოგადად, ოჯახური ძალადობა უნდა იყოს კოორდინებულად განხილული. ევროპის საბჭოს ბევრმა ქვეყანამ მოაწერა კონვენციას ხელი. საქართველომ ამ კონვენციას ხელი მოაწერა 2014 წლის 19 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა კი მისი რატიფიცირება 2017 წლის 5 აპრილს მოახდინა. საქართველოს მთავრობამ მოამზადა ყველა ის წინაპირობა, რაც საჭირო იყო საქართველოს პარლამენტის მიერ კონვენციის რატიფიკაციისა და კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების დროულად დანერგვისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში. კონვენცია იცავს ყველა უფლებას, იცხოვროს ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში და კრძალავს დისკრიმინაციის ყველა ფორმის საფუძველზე ჩადენილ ძალადობას, რაც თავისთავად გულისხმობს ქალის მიმართ ჩადენილ ძალადობასაც. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საქმეში ცენტრალური მნიშვნელობისაა ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის უზრუნველყოფა, როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში. კონვენცია ძალაშია და მოქმედებს როგორც მშვიდობიან დროს, ასევე შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობისას.[40]

კონვენცია მხარეებს აწვდის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო თანამიმდევრულ საჯანონმდებლო ჩარჩოს, პოლიტიკასა და ღონისძიებებს, რომლებიც საუკეთესო პრაქტიკას ეფუძნებიან. კონვენციის ძირითადი მიზნები შემდეგნაირია:

---

[39] რუსუდან კოხოძე, მარიამ მაისურაძე, ეკატერინე მეშველიანი, მარიამ ჯაჯანიძე, ნინო კომარჯიძე- ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმფიწო სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები,ივ,ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1,2011

[40] კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, თბილისი 2018. სტატიათა კრებული. იოსებ გაბარაევი, კონვენცია ,, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ'' - მისი გავლენა ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე, ძალადობით ჩადენილ სექსუალური ხასიათის დანაშაულების კონტექსტში.

- დაიცვას ქალები ძალადობის ყველ ფორმისაგა, განახორციელოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია, აწარმოოს სამართლებრივი დევნა და აღმოფხვრას ეს მოვლენა.
- წვლილი შეიტანოს ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრაში, ხელი შეუწყოს ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობას და ძალაუფლებით აღჭურვოს ქალები;
- დაიცვას და დაეხმაროს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლს;
- დაიცვას და დაეხმაროს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლს;
- ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ;
- დაეხმაროს ორგანიზაციებსა და სამართალდამცავ ორგანოებს ერთანეთთან თანამშრომლობაში, რათა დაინერგოს ინტეგრირებული მიდგომა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად;[41]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი აღიარებს ქალზე ძალადობას, როგორც ქალის დისკრიმინაციის ფორმას.[42] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის თანახმად, ,,ქალებზე ძალადობა არის ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული არათანასწორი ძალაუფლებრივი ურთიერთობების გამოვლინება, რამაც გამოიწვია კაცების მიერ ქალების დისკრიმინაცია, მათზე დომინირება და ქალების სრული თვითრეალიზაციისთვის ხელის შეშლა. გენდერული ძალადობა არის ქალებზე ძალადობის სტრუქტურული ფორმა და ერთ ერთი მთავარი სოციალური მექანიზმი,რომელიც ქალებს აყენებს კაცებთან მიმართებით დაქვემდებარებულ მდგომარეობაში.

გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა 2014 წლის შემაჯამებელ დასკვნაში განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატა საქართველოში ქმრების/ პარტნიორების მიერ მოკლულ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა გაზრილი რაოდენობის გამო და საქართველოს ხელისუფლებას ქალთა მკვლელობებისა და ძალადობის შემცირებისათვის ზომების მიღებისკენ მოუწოდა.[43] საქართველოს დაეკისრა კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

---

[41] ჰილარი ფიშერი, შიშისგან დაცული ძალადობისგან დაცული, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის. ევროპის საბჭო, 2015წ

[42] გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი; ზოგადი რეკომენდაცია N19, 1992

[43] ლელა მეტრეველი, მართლმსაჯულება და კანონი #3(51)'16 საერთაშორისო დოკუმენტების მიმოხილვა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

საინტერესოა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც შეიქმნა 1959 წელს. სასამართლოს ევალება ევროპის მოქალაქეების უფლებების პატივისცემაზე ზედამხედველობა, რომლებიც ევროპის საბჭოს იმ 47 წევრი ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v.Turkey, No.33401/02, 9.06.09)[44] პირდაპირ არის მითითებული სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, დროულად აამოქმედოს ადეკვატური სისხლისამართლებრივი მექანიზმები ძალადობის ფაქტებზე მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელების მიზნით.

მაგალითი: ოჯახში ძალადობა, ბრანკო ტომაზიჩი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (Branko Tomasic and Others v.Croatia)[45]

ფაქტობრივი გარემოებები: აპლიკანტები არიან ბრაკო ტომაზიჩი, მისი მეუღლე დურდა ტომაზიჩი და მართი შვილები მარკო ტომაზიჩი და ანა ტომაზიჩი. ეროვნებით ხორვატი მომჩივნები დაბადებულნი არიან 1956, 1963, 985, 1995 და 2001 წლებში და ცხოვრობდნენ ჩაკოვეცში (ხორვატიაში). აპლიკანტები იყვნენ დაღუპული მ.ტ-ისა და მისი ბავშვის ვ.ტ.ს ნათესავები. 2006 წლის აგვისტოში დედა-შვილი მოკლულ იქნა მათი მამა/მეუღლის მიერ.

მ.ტ და მ.მ ერთად ცხოვრობდნენ მ.ტ-ს მშობლების სახლში 2005 წლის ივლისამდე, სანამ მ.მ ოჯახის წევრებთან კონფლიქტის შემდეგ ცალკე გადავიდოდა საცხოვრებლად.

2006 წლის იანვარში მ.ტ-მ შეიტანა სისხლის სამართლის სარჩელი მ.მ-ს წინააღმდეგ, მისგან მომდინარე სიცოცხლის მოსპობის მუქარის გამო. 2006 წლის 15 მარტს პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ მ.მ-ს მსჯავრი ედებოდა მ.ტ-ს მიმართ განხორციელებულ განმეორებად მუქარაში, რომ იგი მოკლავდა მას და მათ შვილს ყუმბარის აფეთქების შედეგად. მ.მ-ს მიესაჯა 5 თვით თავისუფლების აღკვეთა და უზრუნველყოფის ღონისძიების სახით დაენიშნა სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობა პატიმრობის განმავლობაში და მის მერეც-საჭიროების შემთხვევაში. 2006 წლის 28 აპრილს სააპელაციო სასამართლომ შეამცირა აღნიშნული მკურნალობის კურსი მ.მ-ს საპატიმრო სასჯელის პროპორციულად. მ.მ მოიხადა თავისი სასჯელი და გათავისუფლდა 2006 წლის 3 ივლისს.

---

[44] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება (Opuz v.Turkey, No.33401/02, 9.06.09)
[45] Branko Tomasic and Others v.Croatia განაცხადი N46598/06;15.01.2009

2006 წლის 15 აგვისტოს მ.მ-მ მოკლა მ.ტ და მათი ქალიშვილი მ.ტ სანამ იარაღით თავს მოიკლავდა.

პროცედურა და სასამართლოს შემადგენლობა: განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2006 წლის 30 ოქტომბერს. აპლიკანტები დავობდნენ, რომ კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-13 მუხლებზე (ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალება) დაყრდნობით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ადეკვატური ზომების მიღება მ.ტ-ს და ვ.ტ-ს დასაცავად და არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება მათი მკვლელობის ფაქტზე სახელმწიფოს შესაძლო პასუხისმგებლობის შესახებ.

ეროვნული სასამართლოების დადგენილებებით და ფსიქიატრიული გამოკვლევის დასკვნებით, უპირობოდ ცხადი იყო, რომ სახელმწიფო ორგანოებმა იცოდნენ მ.ტ-ს და ვ.ტ-ს სიცოცხლის მიმართ არსებული საფრთხეების რეალურობის შესახებ და შესაბამისად, მათ უნდა მიეღოთ ყველა გონივრული ზომა ხსენებული პირების დასაცავად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად მ.მ-ს განმეორებადი მუქარისა ყუმბარის გამოყენების თაობაზე, მისი საცხოვრებელი სახლისა და ავტომანქანის ჩხრეკა არ ჩატარებულა ბრალდებულის წინააღმდეგ მიმართული წინასწარი სისხლის სამართალწარმოების დროს. თუმცა აღნიშნული სამართალწარმოებისთვის მომზადებული ფსიქიატრიული დასკვნა ხაზს უსვამდა განრგძობადი ფსიქიატრიული მკურნალობის საჭიროებას, მთავრობამ ვერ დაამტკიცა, რომ მ.მ სათანადოდ იყო ნამკურნალევი. მართლაც,მ.მ არ ემორჩილებოდა ინდივიდუალურ პროგრამას პატიმრობის პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონით სავალდებულო იყო მ.მ-ს გათავისუფლებამდე, მისი დაუყოვნებლივი შემოწმება არ ჩატარებულა, რათა დადგენილიყო, წარმოადგენდა თუ არა იგი მ.ტ-ს და ვ.ტ-ს მიმართ სასიკვდილო საფრთხეს გათავისუფლების შემდეგ.

შესაბამისად სასამართლომ დაასკვნა, რომ კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა არ მიიღეს ადეკვატური ზომები, მ.ტ-ს და ვ.ტ-ს სიცოცხლის დასაცავად, კონვენციის მე-2 მუხლის საწინააღმდეგოდ.

სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ არ არსებობდა საჩივრის ცალკე განხილვის საჭიროება კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე მაშინ, როცა სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ყოვლისმომცველი გამოძიების წარმოება მ.ტ-ს და ვ.ტ-ს სიკვდილის გარემოებებში მისი წარმომადგენლების შესაძლო პასუხისმგებლობის ფაქტებზე. შესაბამისად დადგინდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით ხოლო აპლიკანტის საჩივრის განხილვის საჭიროება კონვენციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე არ არსებობდა.

საინტერესო იქნება ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მიდგომებისა და სამართლებრივი რეგულირების მოკლე მიმოხილვა ოჯახში ძალადობის მიმართ.

აშშ-ის მონაცემებით, ამ ქვეყანაში 15-იდან 45 წლამდე ასაკის ქალბატონების დაზიანების მიზეზი ყველაზე ხშირად არის ოჯახში ძალადობა, ავარიებთან, გაუპატიურებასა და სხვა დანაშაულებთან შედარებით. ყოველ წელს დაახლოებით 4 მილიონი ამერიკის მოქალაქე ხდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. ქალების ცემა ხდება ყოველ 15 წამში ერთხელ. ფედერალური ბიუროს მონაცემებით კი ყოველ დღე ოჯახში ძალადობას 4 ქალის სიცოცხლეს ეწირება. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში ოჯახში ძალადობა აშშ-შიც ყველაზე მეტად გავრცელებული მაგრამ ყველაზე ნაკლებად გამჟღავნებადი დანაშაულია.[46]

აშშ-ს კონგრესმა 1994 წელს პირველად მიიღო ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის აქტი, რომლის მეშვეობით ხდებოდა მსხვერპლი ქალებისათვის სამართლებრივი, საგანმანათლებლო და სხვა პროგრამების შემუშავება. ამის შემდეგ მასში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და დასახვეწად.

ამერიკაში ზოგიერთ იურისტს მიაჩნდა, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ სოციალურად და ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ რეგიონებში ხდება; ზოგიერთის აზრით კი, ბავშვები მხოლოდ მაშინ არიან ძალადობის მსხვერპლნი, როცა ისინი თავად განიცდიან ძალადობას და არა მაშინ, როცა ისინი უბრალოდ არიან ძალადობის მოწმეები. თუმცა საბოლოოდ ყველა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი ასაკის, სქესის, რასის, ეთნოსისა თუ სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი. ბავშვები, რომლებიც არიან ოჯახში ძალადობის მოწმეები, თავადაც იღებენ მძიმე ფსიქოლოგიურ ტრავმას,რაც გამოიხატება საკუთარი ღირსების შეცნობის დაბალი ხარისხით, ღამის კოშმარებით, თავისი თავის დადანაშაულებით, საკუთარი თანატოლების მიმართ განხორციელებული ძალადობით და ა.შ.

ამერიკაში ოჯახში ძალადობის საკითხზე საზოგადოებამ ყურადღების გამახვილება დაიწყო 1960-1970-იანი წლებიდან, რაც ქალთა აქტივობის შედეგი იყო. ამის შემდეგ განხორციელდა მრავალი ცვლილება, შეიქმნა სპეციალური ინსტიტუტები, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობის აღკვეთის ფონდი, შტატების კოალიციები და ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც ოჯახში

[46] რუსუდან კოხოძე, მარიამ მაისურაძე, ეკატერინე მეშველიანი, მარიამ ჯაჯანიძე, ნინო კომარჯიძე- ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმფიწო სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები,ივ,ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1,2011

ძალადობის საკითხებში სამართალწესრიგის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ. ოჯახში ძალადობის საკითხზე სპეციალური ცოდნის გაუმჯობესების მიზნით აშშ-ში 2003 წელს გამართულ სიმპოზიუმზე პროფესორებმა მხარი დაუჭირეს ოჯახში ძალადობის საკითხზე მეტი ყურადღების დათმობის საჭიროებას ამერიკის სკოლებში. სამართლის სკოლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სტუდენტები კარგად იყვნენ გარკვეული ოჯახში ძალადობის ცნებაში. თუმცა აას განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება, რადგან პროფესორ კეპლოუს მოსაზრებით, ,, რთულია, კლასში ისაუბრო ოჯახში ძალადობაზე, რადგან ყოველთვის შეიძლება, კლასში იჯდეს ბავშვი, რომელიც თვითონ არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ან მოწმე, რის შესახებაც ჩვენ არ ვიცით.[47] მიუხედავად იმისა, რომ აშშ აქტიურად იბრძვის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, ის ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე აღმოფხვრილი, დღესაც ხშირია ოჯახში ძალადობის ფაქტები და კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ამ ე.წ. ,,გლობალური ეპიდემიის'' აღმოსაფხვრელად.

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს 2004 წელს მთავრობამ ოჯახში ძალადობა ასე განმარტა: ,,მუქარა, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური, ფინანსური ან ემოციური ძალადობა ზრდასრულ პირებს შორის, რომლენიც არიან ინტიმური პარტნიორები ან ოჯახის წევრები, მიუხედავად სქესისა და სექსუალური ორიენტაციისა. სამართლებრივი ტერმინის განმარტებას თან ახლავს განმარტებითი ტექსტი, რომელიც ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობა მოიცავს იძულებით ქორწინებას, სექსუალურ და სხვა ე.წ ღირსების შემლახველ დანაშაულებს. აქ მოქმედებს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები. ესენია: 1861 წლის აქტი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ; 1971 წლის აქტი სისხლისამართლებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის შესახებ; 2004 წლის აქტი ოჯახში ძალადობის, დანაშაულისა და მსხვერპლის შესახებ; 1997 წლის აქტი ძალადობისაგან დაცვის შესახებ და სხვა;

რადგან ოჯახში ძალადობა არ არის ცალკე კრიმინალიზებული აქტი ეს წარმოადგენს პრობლემას სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. საჭიროა, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავდეს სხვა დანაშაულის ნიშნებს; მაგალითად; თუ მოძალადემ მსხვერპლი სახლში ან ოთახში ჩაკეტა, მას შეიძლება ბრალი წაეყენოს თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის. ასევე ოჯახში ძალადობის შემთხვევების განხილვისას აუცილებელია, ყურადღება

[47] რუსუდან კოხოძე, მარიამ მაისურაძე, ეკატერინე მეშველიანი, მარიამ ჯაჯანიძე, ნინო კომარჯიძე- ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმფიწო სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები,ივ,ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1,2011

შევაჩეროთ ოჯახში ძალადობის, დანაშაულისა და მსხვერპლის შესახებ 2004 წლის აქტზე. ამ აქტში ჩაიდო მთელი რიგი ნორმებისა, რომლებითაც შემაკავებელი ორდერების დარღვევა მიიჩნევა დანაშაულად.[48]

ყოველიზემოაღნიშულიდან გამომდინარე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ძალადობა მთელ მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა. ეს დანაშაული არის საფრთხის შემცველი საზოგადოებისათვის და არ წარმოადგენს მხოლოდ ქვეყნის შიდა პოლიტიკის შეგულირების საგანს, არამედ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისოსამართლებრივ სისტემაში. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით მიღებული საერთაშორისოსამართლებრივი აქტების სიმრავლე ნათლად მეტყველებს პრობლემის მნიშვნელობაზე.

3.4. ოჯახში ძალადობის პრევენცია

,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენს არა მოძალადის დასჯა, არამედ პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების გზით ძალადობის თავიდან აცილება.

ძალადობის პრევენციის მიზანია ქვეყნის მასშტაბით ძალადობის ფაქტების შემცირება, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, ამ მიმართულებით სახელმწიფოსა და საზოგადოების აქტიური ჩართულობის გზით. სახელმწიფო სტრუქტურების, ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით უნდა განხორციელდეს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ღირებულებების განმტკიცება ძალადობის დაგმობის და აქტიური მოქალაქეობის იდეის წახალისების გზით, რათა ჩამოყალიბდეს ძლიერი და პასუხისმგებლობის მქონე სამოქალაქო საზოგადოება.[49]

ოჯახში ძალადობის პრევენცია გულისხმობს იმ ფაქტორების ანალიზის შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზებია. ამასთან, ძალადობის შემდგომი

---

[48]რუსუდან კოხოძე, მარიამ მაისურაძე, ეკატერინე მეშველიანი, მარიამ ჯაჯანიძე, ნინო კომარჯიძე- ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმფიწო სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები,ივ,ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1,2011

[49] ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია (სამუშაო ვერსია)

გამოვლინების თავიდან აცილების მიზნით წინასწარი ზომების მიღებას, კერძოდ, სტატისტიკის წარმოება, საინფორმაციო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, რათა მოქალაქეები ფლობდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რა ქმედება და ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ოჯახურ ძალადობას, რა მექანიზმებით და საშუალლებებით შესაძლებელია დაცული იქნას დარღვეული უფლება.[50]

ოჯახური ძალადობის ფაქტების სტატისტიკა, ფაქტორების ანალიზი, შესწავლა და შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, ასევე საერთაშორისო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა დაინტერესებული პირების მეშვეობით და ხდებოდეს გაშუქება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მასობრივი ინფორმაციების საშუალებით, რადგან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე ნათელია, რომ მოსახლეობა არ არის სამართლებრივად ინფორმირებული, რაც იწვევს მათი ქმედების და ოჯახის წევრთა მიმართ უფლების შელახვას. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა დაიცვას ოჯახური ღირებულებები და უზრუნველყოს თანასწორობის დაცვა-განმტკიცება.

ხშირ შემთხვევაში ეს ხდება გაუთვითცნობიერებლად თვით იმ პირის მიერ, ვინც ახორციელებს ძალადობას და ასევე ის პირი, ვის მიმართაც ხორციელდება ძალადობა, აღიქვამს ამას როგორც ჩვეულებრივ ყოფით მოვლენას, თუმცა შეიძლება ჰქონდეს შინაგანი პროტესტი, მაგრამ ვერ წარმოუდგენია, რომ ძალადობა წარმოადგენს კანონით აკრძალულ ქმედებას და მას გააჩნია უფლება იყოს ყოველმხრივ დაცული შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით.[51]

უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა საშუალებებით მისცეს ინფორმაცია საზოგადოებას იმის შესახებ, რომ ოჯახი არ წარმოადგენს დახურულ ორგანიზაციას და მის შიგნით ძალადობა განიხილება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან დასჯადი ქმედება. ძალადობის პრევენცია ასევე გულისხმობს მოძალადის მიმართ გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას, რათა მან შეიგნოს თავისი ქმედების დანაშაულებრიობა და სამომავლოდ მისი მხრიდან გამორიცხული იყოს ძალადობის ხელახალი განმეორება. კანონის მიზნებიდან გამომდინარე მსხვერპლისა და მოძალადის რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ადაპტაციისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური საგანმანათლებლო

[50] კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი, მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა არღანაშვილი, ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი-სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010.

[51] კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი, მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა არღანაშვილი, ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი, სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010.

კურსების ორგანიზება და დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნა-მხარდაჭერა. კანონის მიზნებიდან გამომდინარე ოჯახი ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და სასამართლო ორგანოები, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად, ოჯახში ძალადობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე მომუშავე დაინტერესებული ინსტიტუტების არასამთავრობო სექტორის ჩართვა და მონაწილეობა ძალადობის პრევენციის ღონისძიებების პროექტების დაგეგმვა - განხორციელებაში.[52]

ოჯახში ძალადობა კომპლექსური პრობლემაა. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დახმარების დროული და ეფექტური აღმოჩენის სისტემის შექმნა ოჯახში ძალადობის აღკვეთის მექანიზმის მთავარი დანიშნულებაა. შესაბამისად ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები შემდეგ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს:

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით:
- ოჯახში ძალადობის პრევენცია;
- იმ ოჯახების იდენტიფიცირება, სადაც ეს პრობლემა არსებობს;
- მსხვერპლთა დაცვა;
- მსხვერპლთა ხელშეწყობა, ახალი ცხოვრების დაწყებაში დახმარება.[53]

თავი IV. კვლევის შედეგები

ნაშრომის შესავალ ნაწილში მოცემულია ოჯახში ძალადობის - თემის აქტუალურობა. კვლევის შედეგად ნათლად ჩანს, რომ საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში ოჯახში

[52] კობა ბოჭორიშვილი, მარინა მესხი, ქეთი ხუციშვილი, მაკა ფერაძე, ნოდარ სააკაშვილი, ანა არღანაშვილი, ნატო შავლაყაძე, ნატო ზაზაშვილი, სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010

[53] ელა კუსიანი, ძალადობა ოჯახში და მისი გადაჭრის გზები - სტატია, 2011წ

ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ოჯახში ძალადობა ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებიც არ არსებობდა. მაგრამ დღეს-დღეისობით მკვეთრად შეცვლილია ოჯახში ძალადობის გამოვლენის მაჩვენებელი, ასევე მისი პრევენციისათვის სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებები. შესავალ ნაწილში მითითებულია ასევე იმის შესახებ, თუ რა არის კვლევის მიზანი, ამოცანები და თუ რა მეთოდოლოგია არის გამოყენებული კვლევის შედეგების მისაღებად.

ყოველი თავი, როგორც უკვე აღინიშნა კვლევის მეთოდოლოგიაში, დაწერილია თეორიული მასალის გამოყენებით. სწორედ არსებული ლიტერატურის მიმოხილვას ეხება პირველი თავი. ოჯახში ძალადობის დეფინიცია განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად. განხილულია ოჯახში ძალადობის თეორიები, რომელთა არსებობა საზოგადოებას ეხმარება საერთო მიდგომის შემუშავებისკენ, რაც შემდგომ უზრუნველყოფს ძალადობის მიმართ ეფექტური საპასუხო ზომების ჩამოყალიბებაში. ოჯახში ძალადობის მახასიათებელი ნიშნების და ფაქტორების განხილვისას იკვეთება, რომ ოჯახში ძალადობას ძირითადად განაპირობებს კულტურული, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ფაქტორები. ფორმების მიხედვით აღსანიშნავია ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკკონომიკური, სექსუალური ძალადობა, ასევე იძულება. კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ძალადობა სერიოზულ საფრთხელ უქმნის ოჯახის წევრების ფსიქიკურ თუ ფიზიკურ ჯანმრთელობას, ამიტომ აუცილებელია მის წინააღმდეგ შესაბამისი ზომების გატარება. დაუშვებელია მის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება, განსაკუთრებით საზოგადოების და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით არის ჩამოყალიბებული მეორე თავი. მასში დეტალურად არის აღწერილი ოჯახში ძალადობა საქართველოს სამართლებრივ სისტემასა და პრაქტიკაში, ასევე განხილულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის მიდგომები და სამართლებრივი რეგულირება ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით.

საქართველოში არსებული სამართლებრივი სისტემის განხილვის გარდა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით მოყვანილია ქვეყანაში არსებული პრაქტიკული მაგალითები, რომლებზე დაკვირვებითაც დგინდება, რომ ძირითადად ძალადობა ხორციელდება ქალებზე. რომ ,, ოჯახი ისეთი რამ არის, რაც არ უნდა მოხდეს, ის სახლის კედლებს არ უნდა გასცდეს''.

პრაქტიკაში ოჯახში ძალადობა მსხვერპლის და მოძალადის პირად საქმედ აღიქმებოდა და უფრო ლმობიერად იყო შეფასებული. სასამართლო სხდომებზე დასწრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ხშირია შემთხვევები და იგრძნობა ბრალდებულის აგრესიულობა დაზარალებულის მიმართ, რომელიც გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა. ხშირად იკვეთება ასევე სოციალური ფონი, როდესაც დაზარალებული ფინანსურად დამოკიდებულია დამნაშავეზე და შესაბამისად აღარ სურს მისი დასჯა, თვალს ხუჭავს აღნიშნულ ქმედებაზე. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც დაზარალებული არ არის ინფორმირებული სრულად ქმედების დასჯადობის შესახებ და პოლიციას იძახებს, მხოლოდ იმიტომ რომ შეაშინოს მეუღლე.

ნაშრომში მოყვანილი სტატისტიკური მაჩვენებლების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემის სიმძაფრე სულ უფრო იზრდება. 2014 წელს ოჯახში ძალადობის შედეგად 17 ქალი იქნა მოკლული. 2014 წლიდან გაზრდილია სტატისტიკური მონაცემები, რაც დაზარალებული, მსხვერპლი მხარის საგამოძიებო ორგანოებისათვის დახმარების მიმართვიანობის ხარჯზე მოხდა. 2019 წლის მონაცემებით კი რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა უკვე აღემატება 2014-2017 წლებში მთელი წლის განმავლობაში დაფიქსირებულ მაჩვენებლებს, რაც განაპირობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებამ,პოლიციისადმი გაზრდილმა ნდობამ და შესაბამისად გაზრდილმა მიმართვიანობამ.

არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის შემთხვევების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სოციალური სამსახურის მიერ ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისას ხშირ შემთხვევაში არ ტარდება საკმარისი ღონისძიებები ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დასადგენად და დასაცავად. აშკარაა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო ყოველთვის არ ან ვერ ასრულებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრულ მოვალეობას:

1. სრულფასოვნად ვერ აფასებს ბავშვის უგულებელყოფისა და ბავშვზე ძალადობის საფუძვლიან ეჭვს;

2. არ რთავს სამედიცინო პერსონალს, რათა მან სრულფასოვნად შეაფასოს შემთხვევა და შეამოწმოს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა უგულებელყოფის დასადგენად;

3. არ რთავს კვალიფიციურ ფსიქოლოგს შემთხვევის მართვის ადრეულ ეტაპზე, რათა ამ უკანასკნელმა დაადგინოს ფსიქოლოგიური/ემოციური ძალადობის ფაქტი.

კვლევის შედეგების შეჯამების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში გატარებული პრევენციული ღონისძიებები დანაშაულების გამოვლენის მხრივ ეფექტურია, მაგრამ საჭიროა აღნიშნული საკითხების უფრო სიღრმისეული გამოკვლევა სპეციალისტების, ფსიქოლოგების,

სათანადო ცოდნის მქონე პირების დახმარებით. საჭიროა ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ძალადობის ფაქტების შემცირებას გამოიწვევს. სახელმწიფოს, საზოგადოების აქტიური ჩართულობის გზით უნდა განხორციელდეს ძალადობის დაგმობა და მისი ადრეულ ეტაპზევე თავიდან აცილება.

დასკვნა

ოჯახში ძალადობა რთული ფენომენი და თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია. ადამიანის უფლებების დაცვა სამართლის უზენაესობის პრინციპებზე დაფუძნებული ნებისმიერი სახელმწიფოს უზენაესი მოწოდებაა. ოჯახში ძალადობა მთელ მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა. ეს დანაშაული იმდენად სერიოზული ზიანის მომტანია საზოგადოებისთვის, რომ ის არ არის მხოლოდ ქვეყნის შიდა პოლიტიკის რეგულირების საგანი. მას

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში. ოჯახში დანაშაულთან დაკავშირებით მიღებული საერთაშორისოსამართლებრივი აქტების სიმრავლე ნათლად მეტყველებს პრობლემის მნიშვნელობაზე.

ოცდამეერთე საუკუნეში საქართველომაც აქტიურად დაიწყო ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და ამასთან დაკავშირებით დღემდე მიმდინარეობს მუშაობა, როგორც კანონმდებლობის, ასევე პრაქტიკის სრულყოფაზე. საქართველოს ხელისუფლებამ ეფექტურად განახორციელა საქართველოს რეალობაში საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი მხარდაჭერით შესაბამისი სამართლებრივი ნორმების შემოღება, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების უზრუნველმყოფელი ინსტიტუტების ამოქმედება.

თუმცა ოჯახში ძალადობა მაინც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დანაშაულს როგორც საქართველოში, ასევე მთელს მსოფლიოში. მის აღმოსაფხვრელად და პრევენციისათვის საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება, რათა მოხდება სტატისტიკური მაჩვენებლის გაუმჯობესება და დანაშაულის რაოდენობის შემცირება. სახელმწიფოს და საზოგადოების აქტიური ჩართულობის გზით უნდა განხორციელდეს ძალადობის დაგმობა და მისი ადრეულ ეტაპზევე თავიდან აცილება.

მაგალითად, პირველ რიგში აუცილებელია მოხდეს საზოგადოების ინფორმირება, თუ რა არის ძალადობა- იქნება ეს ტელევიზიით, ბეჭდვითი მედიით, სხვადასხვა ღონისძიებებით თუ ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით. ოჯახში ძალადობის პრევეციისა და აღმოფხვრისათვის ვფიქრობ საუკეთესო შედეგის მომტანილი იქნება მისი ადრეული პრევენცია, რაც გულისხმობს პიროვნებად ჩამოყალიბების ეტაპზევე მისი შეგნების ფორმირებისთვის სწორი მიმართულების მიცემა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა ყველა ინსტიტუციის თანაბარი ჩართულობა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მოზარდის განვითარებას. მაგალითად ოჯახში ძალადობის პრევენცია სწავლების მეშვეობით, როდესაც სკოლამდელი ასაკის ბავშვებს და სკოლის მოსწავლეებს სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაუტარდებათ სხვადასხვა ტრენინგები, რაც არაძალადობრრივ ქცევაზე იქნება ორიენტირებული. ოჯახში ძალადობის პრევენციის უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენს ბავშვის ფიზიკური დასჯის დაგმობა. საჭიროა მშობლებისათვის იმ გარემოების შეხსენება, რომ ბავშვის ფიზიკური დასჯა ეწინააღმდეგება ნამდვილ აღმზრდელობით მიზნებს.

მნიშვნელოვანია, ასევე, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს კარგად მომზადებული პოლიცია, რომელიც სწორ რეაგირებას მოახდენს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში. უნდა მოხდეს სამართალდამცავი სტრუქტურისადმი მოქალაქეთა ნდობის და

პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება. ასევე უნდა გაძლიერდეს მონიტორინგი მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებების შემდგომი ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მართვის კუთხით მნიშვნელოვანია მოძალადეთა რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია. ასევე ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისთვის არის მედიაციის გაფართოება და მისი აქტიური დანერგვა სხვადასხვა სფეროში. დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამოქალაქო განათლების სწავლებას პიროვნების აქტიურ, კანონმორჩილ, არამოძალადე მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის.

საბოლოო შეიძლება ითქვას, რომ ძალადობრივი ქმედებები არსებითად წარმოადგენს სამართლებრივი და მორალური ვალდებულებების დარღვევას. შესაბამისად სახელმწიფომ, საზოგადოების აქტიური ჩართულობით ქვეყანაში არსებული გამოწვევის წინაშე უნდა იმოქმედოს დიდი პასუხისმგებლობით. ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად უნდა ჩამოყალიბლეს პარტნიორული ურთიერთობები, რომელშიც ითანამშრომლებენ ასევე ოჯახები, სკოლები, პოლიცია, სოციალური მუშაკები და ეკლესია. ამ პრევენციული ღონისძიებების გატარებით მოხდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რაც დაეხმარება მათ იმის გააზრებაში თუ რამდენად ირღვევა ადამიანის უფლებები ოჯახში ძალადობის დროს და რომ ყველა ადამიანს აქვს ძალადობის გარეშე ცხოვრების უფლება.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული. მაია ივანიძე-ოჯახში ჩადენილი დანაშაული კ.ბოჭორიშვილი,მ.მესხი, ქ.ხუციშვილი, მ,ფერაძე- სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე თბილისი, 2010

2. კოხოძე, მაისურაძე, მეშველიანი, ჯაჯანიძე, ჯომარჯიძე ,,ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმწიფო სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები''.ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი თბილისი, N1, 2011

3. ავტორთა კოლექტივი, გ.ტყეშელაშვილი, მ.ლეკვეიშვილი,გ.ნაჭყებია,ნ.თოდუა, ქ.მჭედლიშვილი-ფედრიხი,მ.მამულაშვილი.მ.ივანიძე,ი.ხერხეულიძე-სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი გვ.266

4. ჰელვე კაზე, ესტონეთის ღია საზოგადოების ინსტიტუტის პროექტი ,,საქართველოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დასახმარებლად''.

5. ავტორთა კოლექტივი-სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (ირინე ხერხეულიძე-ოჯახური ძალადობის პრობლემის საერთაშორისო ხასიათი და ინსტრუმენტები)

6. საბედაშვილი გენდერი და დემოკრატია საქართველოს მაგალითზე 1991-2006 წლებში

7. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია-ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები (თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის და თელავის სასამართლოების მონიტორინგის ანგარიში) N10

8. ნათია როყვა, ოჯახში ძალადობა - ანასტასიას ამბავი, კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (CEDAW) თანასწორობა, კანონმდებლობა, რეალობა თბილისი, 2011.

9. ჰილარი ფიშერი, შიშისგან დაცული ძალადობისგან დაცული, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის. ევროპის საბჭო, 2015წ

10. ლელა მეტრეველი, მართლმსაჯულება და კანონი #3(51)'16 საერთაშორისო დოკუმენტების მიმოხილვა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

11. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია (სამუშაო ვერსია)

12. ელა კუსიანი, ძალადობა ოჯახში და მისი გადაჭრის გზები - სტატია, 2011წ

13. გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი; ზოგადი რეკომენდაცია N19, 1992

14. კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, თბილისი 2018. სტატიათა კრებული. იოსებ გაბარაევი, კონვენცია ,, ქალთა მიმართ

ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ" - მისი გავლენა ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე, ძალადობით ჩადენილ სექსუალური ხასიათის დანაშაულების კონტექსტში.

15. რუსუდან კოხოძე, მარიამ მაისურაძე, ეკატერინე მეშველიანი, მარიამ ჯაჯანიძე, ნინო კომარჯიძე- ოჯახში ძალადობის ადგილი და სტატუსი სხვადასხვა სახელმფიწო სისტემაში და მასთან ბრძოლის საშუალებები,ივ,ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1,2011

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი-მართლმსაჯულება და კანონი #3(59)'18.

17. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში-საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის სპეციალური ანგარიში.

18. მარინა მესხი- ,,ოჯახში ძალადობა-პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, თბილისი, N1, 2011

19. მაია მიშველაძე-სახელმწიფოს როლი ოჯახში ძალადობის აღკვეთასა და პრევენციასთან მიმართებით (საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1,2011)

20. მარინა მესხი-ოჯახში ძალადობა-პრობლების მორალური და სამართლებრივი ასპექტები (საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N1, 2011)

21. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2016

22. ნუგზარ გაბრიჩიძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულება N1, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი, 2009

სასამართლო პრაქტიკა:

23. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 14 აპრილის განაჩენი N 1/195-20

24. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება (Opuz v.Turkey, No.33401/02, 9.06.09)

25. Branko Tomasic and Others v.Croatia განაცხადი N46598/06;15.01.2009

ნორმატიული აქტები:

26. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,თბილისი, 2019

27. საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', თბილისი, 09.06.2006

28. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)

29. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბილისი,2019წ.

30. კონვენცია ,,ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ'' (CEDAW)

31. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი,2019წ.

ვებ. გვერდები:

32. https://idfi.ge/ge

33. https://matsne.gov.ge/

34. http://library.court.ge/

35. http://www.supremecourt.ge/eng/

36. https://police.ge/

37. http://ecd.court.ge/